ერთხელაც, ვზივარ მაგიდასთან და ძლიერი ბაკიბუკი შემომესმა. გავიხედე და რას ვხედავ: ფეხის წვერებზე დიდი, შავი გორგლები ჰკილია; ეტყობა, მაგრებია, ამიტომ აქვს ასეთი ხმა. ნამცეცებისკენ წამოსული ძლივს მიათრევს ფეხებს; დატალღულ სახურავზე გადასვლა უჭირს, პრიალა გორგოლები უცურდება და დაფეხვილივით აბდაუბდად დადის, არადა, შია და ჩქარა მოძრაობს, ისე ითხლაშება გზადაგზა, ძლივს სწორდება, შეგებრდება. სხვა მტრედები უნისკარტებენ და გვერდით რიყავენ. მე არ შემიძლია, დავაცალო ეს ბურთულები, რომელიც, არ ვიცი, ტალახია, ფისი თუ რაღაც ავადმყოფობისგან გაჩენილი; იმიტომ, რომ ჩემთან არ ამოფრინდება, ისედაც დამფრთხალია...

ვიფიქრე, მარტო ადამიანებს კი არა, ჩიტებსაც თავიანთი ბედი აქვთ. ჩიტი იყო და ფრენის პრობლემა გქონდეს, ამხელა ტვირთს დაატარებდე, რა სასჯელია-მეთქი...

რამდენიმე დღის მერე რომ მობაკუნდა, ერთ ფრჩხილზე ადარ ჰქონდა ბურთულა. მივხვდი, რომ ავადმყოფობის ბრალი არ იყო და თანდათან ყველა დასცვივდებოდა. მაგრამ, რაც მთავარია, ასე დამძიმებული მაინც დაფრინავდა, იმიტომ, რომ ჩიტი იყო და სხვაგვარად არ შეეძლო.

კედელში შებუდებულ ჩიტებსაც და ამ კაკიკუკა მტრედსაც ვიდევები და სურათები გადავუღე, რათა ხალხისთვის მეჩვენებინა და მეთქვა:

- იზრუნეთ ჩიტების სახლებისთვისაც, როცა თქვენს ბუდეებს იშენებთ!
- რაც უნდა ტვირთი გამძიმებდეთ, გახსოვდეთ ფრენის საიდუმლო!

შატომ ყელქიან ჩიტები...

საპატრიარქოს ტელევიზიით „ერთსულოვნება“ განმეორებით მოგვასმენინეს 2010 წლის 12 დეკემბერს ჩაწერილი პატრიარქის ქადაგება.

პატრიარქი იხსენებდა, რომ შევიცარიაში ჩაატარეს თურმე ასეთი ცდა: გაღიაში ჩასმულ იადონს მოასმენინეს კლასიკური მუსიკა. მას ისე მოსწონებია, თავადაც აჰყოლია გალობით.

იგივე იადონს თანამედროვე (როკი, ჯაზი...) მუსიკა რომ მოასმენინეს, იმ საშინელ ვიბრაციას ვერ გაუძლო და მოკვდა. ალბათ, გული გაუსკდა საწყაღს.

ხშირად დამის პირველ, ორ საათზე, ანუ შუადამისას, ჩვენი კორპუსის წინ გაჩერებულ მანქანაში უმაღლეს ხმაზე რთავენ როკმუსიკებს, გაბმულად ასიგნალებენ; ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, ასე ვთქვათ, უპატრონოები, ტროტუარებზე, ხან შუა ქუჩაში ცეკვავენ, თან სვამენ, გასწივიან; არ აინტერესებთ, რომ ნამუშევარ, დაღლილ ხალხს ძილი, მოსვენება სჭირდება.

აქვეა საჩიტუნებიც. მათი მსმენელი, მოკვდება ჩიტი, აბა, რა იქნება?!





ინდაური საჩუქები

– მაინც რა უგონო ყოფილა ინდაური. სარკე დაუდგეს წინ და იქ დანახულ მეორე ინდაურს ჩხუბი დაუწყო. ვერ მიხვდა, რომ ის ინდაური თვითონვე იყო, – თქვა ქალმა.

– ეჰ, ქალბატონო, როცა ადამიანი მეორე ადამიანს ეჩხუბება, განა ამ დროს თავის თავს არ ეჩხუბება? ზოგადად, ადამიანის ცნება კონკრეტულ ადამიანებს აერთიანებს. რაკი შენ ადამიანი გქვია, ყველა ადამიანი ერთდება შენში. შენ ის ხარ, ვისაც ეჩხუბები, ვისაც ეფერები, ვინც გიყვარს, ან გეზიზღება და ა.შ.

ისე რომ, ჩვენ ინდაურზე მეტი გონებისანი არ ვართ, როცა მეორე ადამიანს ვეჩხუბებით... – გაოგნებული შემომცქეროდა ქალი; მგონი, ვერაფრით მიხვდა, როგორ შეიძლებოდა, მეორე ადამიანში თავისი თავი ეცნო.

ნანაფი – ყვალი ჩვენთან!

ბავშვები ფერად-ფერად მინდვრის ყვავილებს აგროვებენ; გრძელ ღეროიანებს არჩევენ – გვირგვინი უნდა დაწნან. საღამოს კონცერტია და მონაწილეებს ლამაზი გვირგვინები უნდა დაადგან თავზე.

სიმბოლურად... სხვა საჩუქარი არ აქვთ, არც ფული, რომ რამე უყიდონ. მინდორი კი – აბიბინებული და გულმოწყალე, უხვად გასცემს სასაჩუქრე, უნაზეს, ველურ ყვავილებს.

ბავშვებიც შრიამულითა და კისკისით უერთდებიან მინდვრის ღია ზეიმს, აგროვებენ ყვავილებს. მათ შორის ჩამჯდარნი წნავენ გვირგვინებს, თავზე ირგებენ, სიცოცხლეს შეჰხარებენ.

მათმა დიდებულმა ძალისხმევამ გამახსენა:
დაწვანა, ნაწნავის გაკეთება დიდი საიდუმლოების უნებლიე გამჟღავნებასავითაა: სამის შერთვა, გადანასკვა ერთურთში, კვლავ სამად განტოტვა, ისევ გადანასკვა და ა.შ. – სამების მადლის ამსახველი და შემომტანი ქმედებაა.

ამიტომაც, უდავოდ მშვენიერი არიან ნაწნავიანი ან დაწნულ-ყვავილებ-გვირგვინიანი გოგონები და ქალები, ღვთიური ნიშნის მატარებელნი. თუმცა, ნაწნავების ტარების წადილი დღეს ცოტასღა შემორჩენია... მაგრამ, ალაღბედზე, წინ თუ გაგიქროლებს ნაწნავებიანი გოგონა, დააკვირდი, რა სხვანაირია მისი თვალები... ბუნების თვალებს ჰგავს – სველს, სანდოსა და შიგნიდან ბედნიერს!

ს-აქა-პოველო!

საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, სამოთხის ბაღია, სიყვარულის ედემი, სადაც ხარობს ვაზი ჭეშმარიტი; აქ მარადიული რთველია, ამიტომაც შეურქმევიათ ამ საოცარი მიწა-წყლისთვის
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო – ს-აქა-რთველო!

ამიტომაც გაგვჩენია, აქ ფეხის მოკიდების სურვილით შეპყრობილი, უამრავი მტერი, მაგრამ ისინი ვერას გახდებიან, რადგან მისი ვენახიდან მოწყვეტილი ყოველი მარცვალი, შორს გატანილი, დახუნძლული აკიდო, საქართველოსვე გაზრდის და გაამაგრებს, რადგან ფარად, ღვთის შეწვევად, საქართველოს წინ უძღვის „ს“, როგორც კაუჭი, აქა რთველის, აქა ლხინის მოსაზიდად!





უდიდესმა გეიმანელმა კომპოზიტორმა, პიანისტმა და დირიჟორმა - ლევიკ ვან ბეთჰოვენმა (1770-1827 წ.წ.) კომპოზიტორის სახელი მოიხვეჭა 12 წლის ასაკში. ეს იყო 1882 წელს, როცა მან შექმნა ვახიაციები ქლავინოსათვის* (მისიმის თემებზე).

"მოვა დრო და ის ყველას ააღაზიანებს", - თქვა მოცაჩმა, როცა ვენაში მოესმინა 16 წლის ყმანვილს. მაგჩამ 27 წლის ასაკიდან კომპოზიტორის ცხოვრებაში ყველაფერი სტატიკურად იცვლება: ბეთჰოვენს თანდათან უკვეთდება სმენა. დაავადება სწრაფად ვითარდება, ჩაც მისთვის უმძიმესი სასჯელია, გამოუვადი სულიერი მდგომარეობაა. თავდაპირველად ბეთჰოვენი თვითმკვლევლობაზეც ფიქრობს. მაგჩამ გაახიებული აქვს, რომ კაცობრიობას განსაკუთრებული მისიით მოევიდნა.

32 წლისას უკვე ახაფეხი ესმის, თუმცა ერთმანეთზე საუკეთესო ქმნილებებით (ახაფითი სიმფონიით, საფორტეპიანო და სავოლინო კონცერტით, სონატით, სიმებიანი უკუჩხუტით, უკუჩხუტით,** კამეჩელი მუსიკის ნაწარმოებით) აოცებს მსმენელს. ნოტებზე გადააქვს თავში აფლუებული ბეჩეები, რომელთაც თვითონ ვეხასოღეს გაიგებს!

ბეთჰოვენის 29-ე, 30-ე და 32-ე უკანასკნელი საფორტეპიანო სონატებიდან სათავეს იღებს მუსიკაში იმ დროისათვის ახალი ვანგი - რომანტიზმი.

თავისი შემოქმედების მწვეფიკავი - მეცხე სიმფონია სიკვდილამდე სამი წლით ადრე, 1824 წელს შექმნა. მათე სიმფონიის დანეჩა ვეი მოასწომ. ახადა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თქვა: "ვიმედოვნებ, რომ კაცობრიობას ვესახსოვებე ეიდეუ ხამდენიმე ნაწარმოებს."

ძნელია, აუღეღებლად, სულიერი სიმშვიდის გაჩეუე გადაიკითხო ტევიციითა და დეამატიზმით აღსავსე კომპოზიტორის ბახათები, მინეიერი მეგობრისადმი, ძმებისადმი. შეუძლებელია, ახ განიცადო ამ უდიდესი ხელოვანისა და ძლიერი ადამიანის შემოქმედებითი სტაგეიდა.

"მე ახ ვცნობ ახე ერთ უპიკატეობას, გაჩადა გეილსა", - ამბობდა დიდი კომპოზიტორი.

ლევიკ ვან ბეთჰოვენის წერილები

ფრანს ვეგელერს***

თარგმნა ნანა მსხილაძემ



30 წლის ბეთჰოვენი. 1800წ. უცნობი მხატვარი

ძვირფასო ფრანც!
ჩემი ნაწარმოებები ჩემთვის საკმაოდ შემოსავლიანია. შეკვეთები გაცილებით მეტი მაქვს, ვიდრე შემიძლია, ეს შევასრულო. უკვე არავინ მევაჭრება, ვითხოვ და მიხდიან.

ნახე, ახლა რას გეტყვი: წარმოიდგინე, რომ უსახსრობის გამო ჩემი ახლობელი ან მეგობარი ცუდ დღეშია და, შესაძლოა, ზუსტად ამ დროს ჩემი საფუღეც არ მაძღვეს საშუალებას, დავეხმარო რომელიმეს; მაგრამ, საკმარისია, ჩამოვჯდე როიალთან, ისიც მცირე ხნით და მეგობარს უკვე დახმარების ხელს ვუწვდი. ეს ხომ შესანიშნავი რამეა!

მაგრამ ეს ჩემი მოშურნე დემონი, ჩემი შერყეული ჯანმრთელობა გზაზე ყველგან მეღობება; უკვე სამი წელია, რაც სმენა თანდათან მიქვეითდება.

უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ შეგიქმნა ჩემს გაუგონარ სიყრუეზე, ერთსაც გეტყვი: თეატრში რომელიმე მსახიობის ხმა რომ გავიგო, იძულებული ვარ, ძალიან ახლოს ვიყო ორკესტრისგან. თუ ოდნავ მაინც მოშორებით ვზივარ, არც ინსტრუმენტის მაღალი ბეგრები და არც ნამღერი ხმები არ ჩამესმის.

მიკვირს, როცა ჩემთან საუბრის დროს ადამიანები ამას ვერ ამჩნევენ. ამ დროს უფრო ხშირად დაბნეული ვარ, ისინი კი ამას ჩემი უცნაურობით ხსნიან.

თუ ჩვეულებრივად მესაუბრებიან, შესაძლოა, რაღაცა მაინც გავიგო: უფრო ზუსტად, გავარჩიო ერთმანეთისგან ხმები და არა სიტყვები. მაგრამ, თუკი ვინმე ჩამყვირის, ეს უკვე აუტანელია!

დამერთმა უწყის, რა მეღის მომავალში!

პლუტარქმა უდრტვინველობა მასწავლა!

მაგრამ მსურს, თუ შეეძელი, დავუპირისპირდე ბედისწერას. არის წუთები, როცა ვგრძნობ, რომ ამქვეყნად მაცხოვრის მიერ შექმნილი ყველაზე უბედური არსება ვარ.

ძნელია იმის წარმოდგენა, რამდენად უკაცური, რამდენად სევდიანია ჩემი ცხოვრება უკანასკნელი სამი წლის მანძილზე.

უბედური სმენა მოჩვენებასავით ყველგან თან მღვეს. და მაშინ, როგორც კაცთმოძულე, გავურბივარ ადამიანებს, თუმცა ასეთი სულაც არა ვარ.

თუ არა ესოდენ დამთრგუნველი ჯანმრთელობა, მოვივლიდი ნახევარ მსოფლიოს. ჩემთვის იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, გავიხარო საკუთარი ნაწარმოებების შექმნით და მერე ეს ვუძღვნა ადამიანებს.

20 * - საორკესტრო ნაწარმოები ფორტეპიანოსათვის.
** - ოპერის, ბალეტის საორკესტრო შესავალი.
*** - კომპოზიტორის მეგობარი.



რა თავბრუსხვევით იქნებოდა, მეცხოვრა ათასი მშვიდი სიცოცხლით. თუმცა ვგრძნობ, ამისთვის არ ვარ დაბადებული!

ძალიან გთხოვ, ჩემს შესახებ არაფერი უამბო. ყოველივეს საიდუმლოსავეთ განდობ.

ბედისადმი მორჩილება – ესაა ჩემთვის ყველაზე უბადრუკი თავშესაფარი. და მაინც, ეს ერთადერთია, რის იმედადაც ვარ დარჩენილი.

1801 წლის 22 ივნისი



ბეთჰოვენი. მხატვარი - კარლ შტილერი. 1820 წ.

ყარლ და იოჰან ბეთჰოვენებს*

ჩემო ძმებო, კარლ და იოჰან!

მოგმართავთ თქვენ, იმ ადამიანებს, რომელნიც მადანაშაულებთ და მიგანჩიათ, რომ ვარ ავი, მოუთვინიერებელი ან მიზანთროპი** – ეს უსამართლობაზე მეტია.

მაგრამ იმ უშიშეს და უაზრო ყოფას, რა მიზეზითაც ასეთი გავხდი, არავინ აცნობიერებს.

იქნებ, დაფიქრებულიყავით – აგერ, უკვე ხუთი წელია, ვიტანჯები უკურნებელი სენით, უფიცი მკურნალების გამო უფრო და უფრო რომ მიერთულდება. წლიდან წლამდე თანდათან ვკარგავ გამოჯანმრთელების იმედს.

მე, რომელსაც დაბადებიდან დამევა ცეცხლოვანი, დაუოკებელი ტემპერამენტი ლაღი ურთიერთობებისკენ განსაკუთრებული მიდრეკილებით, იძულებული ვარ, გავემიჯნო ყველას და შევეუღო მარტოობას, სულიერ ობლობას.

მე უკვე არ ძალმიძს, ვუთხრა ადამიანებს: ილაპარაკეთ უფრო ხმამაღლა; არა, იღრიალეთ, მე ხომ ყრუ ვარ!

უნდა ვიცხოვრო ყველასგან გაძევებულმა!

როგორც კი ვუთამამდები საზოგადოებას, მიპრობს მტანჯველი შიში, რომ ვარ მისგან დევნილი.

უღმერთოდ შეურაცხყოფილიც ვარ, როცა ჩემს გვერდით მდგომს, შესაძლოა, შორიდანაც მოსწვდეს ფლეიტის ჰანგები, მე კი ამ დროს არაფერი მესმის.

არაერთგზის ვმდგარვარ სასოწარკვეთილების ისეთ ზღვართან, რომ მითქვამს, კიდევ ცოტაც და თვითმკვლევლობით დავასრულებ-მეთქი სიცოცხლეს.

მაგრამ მხოლოდ მან, ხელოვნებამ, შემაჩერა.

ჰო, მე წარმოუდგენლად მიმანჩია, ამ წუთისოფელს მანამდე შევაქციო ზურგი, ვიდრე ბოლომდე არ აღვასრულებ იმას, რისთვისაც მოწოდებული ვარ!

ბედისადმი მორჩილება – ჰო, ასე ჰქვია მას, ვინც მომავალში უნდა მმართოს და ვისაც მთლიანად უნდა ვემონო.

ო, ღმერთო, შენ შენი სიმაღლიდან ჩემი სულის უკიდურეს სიღრმეებს სწვდები; კარგად იცნობ ამ სამყაროს, იცი, რომ იქ ცოცხლობს სიყვარული ადამიანების მიმართ და სურვილი, რაც შეიძლება, მეტი შექმნას.

ო, ადამიანებო, თუკი ოდესმე წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, დაფიქრდით იმაზე, როგორი უსამართლონი იყავით ჩემს მიმართ; თითოეული უიღბლო კი თავს იმით დაიმშვიდებს, რომ ჩემი სახით მისნაირ უბედოს აღმოაჩენს.

თქვენ კი, ჩემო ძმებო – კარლ და იოჰან, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემი სახელით სთხოვეთ პროფესორ შმიდტს, თუ ის კიდევ ცოცხალი იქნება, სათანადოდ აღწეროს ჩემი ავადმყოფობა; რომ ჩემი ამქვეყნიდან წასვლის მერე მაინც, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, შემირიგდეს კაცობრიობა.

შვილებს ჩაუნერგეთ სიკეთე და არა ფულისადმი ღტობვა – ბედნიერება მხოლოდ სათნოებას მოაქვს. აპატიეთ ერთმანეთს და გიყვარდეთ ერთმანეთი.


მთელი ცხოვრება თქვენზე ვზრუნავდი, ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, როგორ გამებედნიერებინეთ.

იყავით ბედნიერები!!!

ბედისწერისადმი უიმედო მორჩილება – დღეს ეს ჩემთვის ყველაზე საიმედო თავშესაფარია. მაგრამ გადავწყვიტე, ამ ყველაფერზე მაღლა დავდგე. თუმცა შევძლებ კი ამას?

არადა, უკვე როგორ ვისაკლისებ ჩემი მთლიანობის უკეთილშობილეს ნაწილს – ჩემს სმენას.


1802 წლის 6 ოქტომბერი



ბეთჰოვენი როიალთან. მხატვარი კ.შლიოსერი. 1811წ.

* – კომპოზიტორის ბიბაშვილები.

** – პირი, რომელიც საზოგადოებას გაურბის, კაცთმოძულე.



გასული საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი ინგლისელი მწერლისა და დრამატურგის – ჯონ პრისტლის მოგზაურობას აფხაზეთში აფხაზმა ნოველისტმა – მიხეილ ლაკერბაიამ უძღვნა ნოველა „შხანგერ ბჟანია და ჯონ პრისტლი“.

როგორც ცნობილია, ჯონ პრისტლიმ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. როცა ეკითხებოდნენ, რაში მდგომარეობდა მისი მათუსალობის საიდუმლო, ის, თურმე, ხუმრობით შენიშნავდა:

– მე ასწლოვან მოხუცთა ქვეყანაში, აფხაზეთში, ავსენი ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო. იქ, სადაც 140 წლის მოხუცი მალღარზე ვენახს კრეფდა, სხვა ბევრი რამეც ვნახე და ვისწავლე.

* * *

ძალიან საინტერესო რამ მოხდა ამ 25 წლის წინათ გერმანიაში, – ასე იწყებს თავის ერთ-ერთ მოგონებას ცნობილი ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე.*

ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ, ფრანკფურტსა თუ ლიუსელდორფში, „ბღტ“**-სთან ერთად გასტროლებზე ვიყავი.

ჩემს სპექტაკლს – შილერის „ვერაგობას და სიყვარულს“ ვთამაშობდით.

სპექტაკლი რომ დასრულდა, ადგილობრივმა თეატრმა პატარა ვახშაში გაგვიმართა. მსახიობებთან ერთად მაგიდასთან ვიჯექი და ამ დროს ვიღაც სიმპათიური, ასაკოვანი გერმანელი ქალბატონი თარჯიმანთან ერთად მოუახლოვდა ჩვენს მაგიდას, ჩემს პირდაპირ დაჯდა და შემეკითხა:

– ქართველი რეჟისორი ხართ?

– კი, ქართველი ვარ! – მივუგე.

– ჰოდა, რაღაც მინდა გიამბოთ, – დაიწყო გერმანელმა ქალბატონმა, – მე ბავშვობაში, 1941 წლის ომამდე, სოხუმში ვცხოვრობდი. მამაჩემი მუსიკალური სკოლის დირექტორი იყო. მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიქნებოდი, ჩემზე ცოტათი უფროსი, ასე, მერვე-მეცხრე კლასელი ბიჭი შემეყვარდა შორიდან. იმასაც მოვწონდი; ისე კი, ერთმანეთს არც ვიცნობდით ხეირიანად.

მერე დაიწყო ომი. ერთ დღეს მამა დაბრუნდა შინ და გვითხრა:

– გერმანელებს შუა აზიაში გვასახლებენ, უნდა მოვემზადოთ, ორ დღეში გაგვიყვანენ.

დავიწყეთ მზადება. ის დღე იყო და ის დღე, მას მერე არც ერთი ნაცნობი უკვე აღარ გავგვარებია, აღარც სკოლაში წავსულვარ.

დილაადრიანად გაგვიყვანეს სადგურზე: ცარიელ ბაქანზე მხოლოდ შეიარაღებული ჯარისკაცები დაგვხვდნენ. მერე საბარგო ვაგონში შეგვყარეს. როგორღაც მოვახერხე და ფანჯარასთან ავძვერი.

უცებ რას ვხედავ: ის ბიჭი, ჩემად რომ მიყვარდა, ჩვენსკენ მოდის. არადა, ჯარისკაცები არავინ გვაკარებენ. ამ დროს ბიჭი ერთ-ერთთან მიდის და რაღაცას ეუბნება. ჯარისკაცი ბიჭს აქეთ უშვებს...

მოვიდა ვაგონთან, ვისაუბრეთ და ვიდრე ჩვენი მატარებელი თვალს არ მიეფარა, ბაქანი არ მიატოვა.

ახლაც მიკვირს, როგორ გაბედა იქ მოსვლა; ან რა უთხრა ისეთი ჯარისკაცებს, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, ჩვენთან არავინ გამოემუვათ. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩემი გულისათვის თავი გასწირა...

ჩამოსულა თუ არა თბილისში თემურ ჩხეიძე, რამდენიმე გაზეთში გამოუქვეყნებია ცნობა ამ უჩვეულო თავგადასავლის შესახებ; გამოსულა ტელევიზიითაც. ამ შეხვედრის ამბავი რადიოშიც მოუყვლია, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ გამონმარებია.

ის ქართველი ბიჭუნა გვარად ყოფილა მაისურაძე.

* – ნინო ჩხიკვიშვილი – „თემურ ჩხეიძის პორტრეტი“.

** – დიდი დრამატული თეატრი (ტოვსტონოგოვის სახელობის).



"აღესანდრე ჭავჭავაძე" ქართული ჰოჯის ისტორიაში სხელიად უნიკალური მოვლენაა: იგი შემოქმედებას იწყებს იმით, ხითაც, ჩვეულებივ, დიდი ელასიკოსები ასხელებენ.

18-19 წლის ასაკში ქმნის ლექსების წყებას, ხომელთაგან ათამდე ეხოვნელი ჰოჯეხი სიტყვის ნამდვილი შედეხია", - აღნიშნავს ლიტეხატოხი იხაელი ენჭომშილი.

"ჰე, საქათველო" - ამ ლექსის ბოლოს მინეხილია ტექსტი: "თქმელი თავადის - აღესანდრე ჭავჭავაძისაგან კამბოვს".

აღესანდრე ჭავჭავაძე, მახთლაც, მოხეხი იყო კამბოვში გადსახლებული, 1805 წელს და, აგეთვე, 1832 წელს, ცნობილ შეთქმელებაში მონაწილეობის გამო.

ხოგოხე აღნიშნავენ ეხიტიკოსები, სხენებული ლექსი თავისი ხასიათით, შინაახსობივი დატვითვით, ხდიკალიზმით 1832 წლის აჯანყების ახა მახცხის, ახამდე უეხი მისი წინახე ჰეხიოდის გამომხატველია.

ჰოჯესა და გენეხალს, თუხმე, დაპტიმებაამდე გაუნადგუებია ჰოლიტიკეხი ხასიათის თითქმის ყველა თავისი ნაწახმოები. ბენიეხი შემთხვევით გადახჩენილი აღესანდრე ჭავჭავაძის ეს ლექსი - "ჰე, საქათველო" ეპოქის სელიეხი მისწაფებების, 1832 წლის შეთქმელების მონაწილეთა იმელებისა და განწყობილებების გამომხატველია.

საინტეხესოა, ხომ ჰოჯის ეს ნაწახმოები, თანდართული ჰუბლიკაციით, ჰიხვედად გამოქვეყნდა სოხუმის ჰუენსტიკეტის შხომებში, 1847 წელს, ცნობილი მეწნიეხისა და ჰხოფესოხის - იოსებ ბოცვაძის მიეხ.



აღესანდრე ჭავჭავაძე

ჰე, საქართველო, პტოლომეს დროს აღყვაეებული!
მშეენიერ იყო, მარა რა?! ვით ამა სოფლის ყოველი,
კეთილი, მოსაწონელი, შავმა დრომ ფერხით გასთელა,
დააჭკნო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მოსთველიდა!

გაჭკრა დავითის ხრმლის ელვა, ჩაჭკრა თამარის ლამპარი,
ოქროს დრო უამმა შესცვალა, აგარეანთა სრბოლამა,
შეიქმნა ვაი-ვიშიში, საქრისტეანოს რბევა და
ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა!

ქართველისთვის მეფე ირაკლის სისხლი მრავალჯერ ნთხეულა,
ვერ შეჭკრა მისი კარიბჭე, მზრუნველი დარჩა ეულად,
როსსნი მოიხმო საშველად მან იმედგაცრუებულმა,
მათ ნაცვლად ძმობის, ერთობის დაგვტოვა დანასხეულად!

მახვილდებულად მოვიდა, მზაკერულად მიგვცა გვემასა,
ველსა შეგვაბა სარახი, მიმოძგონარედ² მთვლემარსა,
ლაქათთა³ იწყეს ლაქათი, ძვალი არა აქვს ენასა,
მკაღედ⁴ ედინა ცრემლები ხალხს, მიცემულსა სენასა.

არც ვართ ზორაყნი⁵, თვითრჯულნი, არცა ჩვეულნი ზრზენასა,
სიკვდილი გვიჯობს, ვიხმით კანჯარზე⁶ ჯდომა-თვლემასა,
მზაკვარს ხრმლით გავუსწორდებით, ვჭფუცავ ჩვენ ხრმალთა კვეთასა,
მნათი აღმოჰხდეს კავკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა!

კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა უპოვრად ვუწყებ მდერასა,
საკდემელია, ვუმზირით ერთურთის თრევა-სრევასა,
გულთა სწყვლენ ჭანგთა⁷ თარეში, მკერდსა სახმილის გზნებასა,
მზაკვარს ხრმლით გავუსწორდებით, ქართლს მივცემთ შვება-ლხენასა!



1 - სროლა; 2 - გაოგნებულად; 3 - მოლაყბე; 4 - ნაკადად მდგრედი, მტირალი; 5 - თუთიყუში; 6 - ველური ვირი; 7 - აქ: ბრჭყალებიანთა (დამპყრობთა).



მღვდელი
მამა გიორგი
(შენგელაია)

2016 წლის 27 თებერვლის ანა ჰოლიტოვსკაიას ქჩაზე (ყოფილი ჯიქიას ქჩა) თავი მოიყახეს მღვდელ-მსახუებმა, მასმედიის წახმომადგენლებმა, მლოცვეებმა.

აქ ბიძანებოდა გოხისა და ატენის მიტროპოლიტი, მამა ანდრია (გვაზავა). იმ დღეს უწმინდესისა და უნეტაჲსის, ჯათალიკოს-პატრიარქის ღოცვა-უქთხევით მეუთემ ეს ადგილი და ახალი ტაძრის საძიხველი აუქთხა.

წმინდა ვასილისკოსა და წმინდა იოანე მოქმოპიის სახელობის ოხეჯესიონი ბაზილიკის ახიკუქუტოხია ხეზო ჯანაშია.

ანტიოქიელი მღვდელ-მთავაჲი - იოანე მოქმოპიი და ბიზანტიელი მონამე - ვასილისკო, IV საუკუნეში მცხოვრები ეს ოხი უდიდესი საეკლესიო მოღვაწე აფხაზეთში გადასახლების შემდეგ იქვე აღესხა.

სოხუმიდან 15-იოდე კმ-ში, კომანის მიუვად მთებში, წმინდა ვასილისკოს მახტვილობის ადგილას დღესაც მოსჩქებს სასწაულმოქმედი წყაჲო; აქ, ვასილისკოს საფლავთან, მიაბაჲა უჯადს სული იოანე მოქმოპიმა, ხომელსაც სიკვდილის წინ გამოუცხადა წმინდა ვასილისკო და გაამხნევა იგი: ხვად ჩემთან იქნები.

ხუბიკა «კიხიკა ქაქოსონი» ამჯეჲად ჯედუე ეთი საინტეჲესო თემას სთავაზობს მჲითხველს.

«წმინდა მონამე ვასილისკო კომანელი» - წომიხის ჰუბიკაციის ავტოხია წმინდა წინო

კაბადოკიელის სახელობის ეკლესიის მღვდელ-მსახუი, სოხუმიელი მამა გოიხი (შენგელაია).

სწოხედ მისი ინიციაციით დაიწყო და მისივე ხელმძღვანელობით გიქედება ამ ახალი ტაძრის მშენებლობა, დღემდე მხოლოდ მოხმენე მხევის შემონიხულობით ხომ თინანსდება.

მახტვილობის უმძიმესი გზა გაიბა წმინდა ვასილისკომ; ხმენასა და უჯადს მენიხეს შუალამისას მაცხოვარი გამოუცხადა და აუწყა: მახსოვსაჲ და ახასოღეს დაგვიწყნებ, სახელი მენი მენზე აჲე წამებუტა წინაა ჩანეილი.

წმინდა მონამე ვასილისკოს ცხოვრება და მონამეობა აღწეხა წმინდა ევსიგნიოსმა, მისი ღვანდის თვითმხილველმა.

წმინდა მონამე ვასილისკო კომანელი

(ხსენება – 22 მაისი / 4 ივნისი)

მამა გიორგი (შენგელაია)

ჰონეს ამსიაში*

საქართველოს უწოდებენ მოწამეთა სამშობლოს, რადგან ყველაზე მეტი ქრისტესათვის წამებული ჩვენს ქვეყანაშია. ვისაუბრებთ ერთ-ერთ მათგანზე, წმინდა მოწამე ვასილისკოზე, რომელიც 308 წელს ქაპა დიოსკურიის (სოხუმის) მახლობლად, სოფელ კომანში.

წმინდა მოწამე ვასილისკო წარმოშობით იყო პონტოს ამასიიდან. ის გახლდათ დიდმოწამე თეოდორე ტირონის (ხსენება – 17 თებერვალი/2 მარტი) ძმისწული და, როგორც მისი ბიძა, ისიც აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის სამხედრო სამსახურში იყო.

წმინდა დიდმოწამე თეოდორეს მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ შეიპყრეს ყველა მეომარი, რომელიც ღიად აღიარებდა ქრისტიანობას. წმინდა ვასილისკოსთან ერთად დააპატიმრეს ძმებიც, ეგტროპი და კლეონიკე. საპრობილეში მათ მრავალი პატიმარი მოაქციეს ქრისტეს სჯულზე.

ეროველი აღმსარებლობა

ამასიის ახალმა მმართველმა – ასკლეპიოდოტმა თავისთან დაიბარა ქრისტეს ერთგული აღმსარებლები. მისი ბრძანებით მორწმუნენი სასტიკად სცემეს. წამების დროს წმინდა ეგტროპი ხმამაღლა ღოცულობდა. ღოცვის პასუხად წმინდა მოწამეებს თვით უფალი გამოეცხადა ანგელოზებთან და დიდმოწამე თეოდორე ტირონთან ერთად და დახმარება აღუთქვა. ეს გამოცხადება იხილეს წმინდა მოწამეებთან მყოფმა ჯარისკაცებმა და ასკლეპიოდოტს წამების შეწყვეტა სთხოვეს.



წმინდა ვასილისკო
კომანელი

მმართველი შეშინდა და ქრისტიანთა გაყვანა ბრძანა. შემდეგ მოიხმო ეგტროპი და ურჩია, წარმართული ღმერთებისათვის სახალხოდ შეეწირა მსხვერპლი, გულში კი ქრისტიანად დარჩენილიყო, რაზეც წმინდანმა უარი განაცხადა.

მეორე დღეს წმინდა მოწამენი წარმართულ ტაძართან მიიყვანეს და მოსთხოვეს, კერპთმსახურება აღესრულებინათ. ეგტროპმა ღოცვა კი მაცხოვრის მიმართ აღავლინა.

ღოცვის დამთავრებისთანავე მიწა იძრა და ტაძრის კერპი დაიმსხვრა, ზეციდანაც ხმა გაისმა: „თქვენი ღოცვები შესმენილ იქნა. აქ ამენდება ტაძარი ქრისტიანთა სალოცავად“.

განრისხებულმა ასკლეპიოდოტმა ბრძანა, მიწაში სარები ჩაესოთ, მასზე მიეხათ წმინდანები და აღუღებული ფისი გადაეხათ. წმინდანებმა ღოცვა დაიწყეს,

* – ყოფილი ელინისტური სამეფო (ამჟამად თურქეთის ტერიტორიის ნაწილი).



ევტროპია კი მტანჯველებს გასძახა: „უფალმან მოაქციოს საქმენი თქვენნი თქვენდა“. აღუდებული ფისი მოწამეთა სხეულმა სასწაულებრივად აისხლიტა და ჯალათები დაწვა. ამის მნახველებს თავხარი დაეცათ, გამპინგარებულმა მმართველმა კი ბრძანა, რკინის მარწუხებით დაეგლიჯათ წმინდანთა სხეულები და მარილიანი და ძმრიანი მღოვი დაეყარათ წყლულებზე. წმინდანებმა ეს ტანჯვაც გასაოცარი სიმშვიდით აიტანეს.

3 მარტს წამებული ევტროპი და კლეონიკა (ხსენება – 3/16 მარტი) ჯვარს აცვეს, ხოლო ვასილისკო კი საპრობილეში დატოვეს.



წმინდა ვასილისკოს წყარო. კომანი

„რომ შემეძლოს, ათასჯერ მოვკვდებოდი ქრისტესთვის“

წმინდანი გულმსურვალედ ღოცულობდა და შესთხოვდა ღმერთს, რათა ისიც, როგორც მისი მეგობრები, გაეხადა ღირსი მოწამეობრივი გვირგვინისა. საპრობილეში მყოფს მას უფალი გამოეცხადა და აუწყა, რომ მისთვის იყო გამზადებული უფრო დიდი ღვაწლი.

– მასსოფნარ და არასოდეს დაგივიწყებ! გამოემშვიდობე დედას, ძმებს, ნათესავებსა და მეგობრებს, რადგან შენი აღსასრული მოახლოებულია, – უბრძანა მაცხოვარმა.

დატყვევებულმა სთხოვა მეციხოვნეებს, ოთხი დღით გაეთავისუფლებინათ, რათა გამომშვიდობებოდა ახლობლებს.

საპრობილის უფროსს კი ეწინააღმდეგებდა ქალაქის მმართველის, მაგრამ წმინდანის სიტყვები ვერ უგულებელყო და მცველებთან ერთად გაუშვა მშობლიურ მხარეს. სახლში დაბრუნებულ წმინდა მოწამეს დიდი სიხარულით შეეგებნენ დედა და სამი ძმა. მისი მცველი ჯარისკაცებიც დიდი პატივით მიიღეს.

წმინდა ვასილისკომ შემოიკრიბა ახლობელ-ნათესავები და სულის სასარგებლო რჩევა-დარიგებებით მოუწოდა მათ ყოველგვარი განსაცდელის ღვთისსათნოდ დათმენისაკენ.

ახლობლებმა შესთავაზეს, დარჩი, გადაგმალავთო, მაგრამ მოწამეობის სურვილს მოწყურებულმა წმინდანმა ასე უპასუხა მათ: „**რომ შემეძლოს, ათასჯერ მოვკვდებოდი ქრისტესთვის!**“

„ნუ გეშინია, მე შენთან ვარ“

ამასობაში ქალაქ ამასიას ესტუმრა გულქვა მტანჯველი, მმართველი ადრიპა. მან მსხვერპლი შესწირა წარმართულ კერპებს და მოითხოვა ქრისტიანი ტყვეების მასთან მოყვანა. განსაკუთრებით კი, ითხოვდა წმინდა ვასილისკოს ხილვას.

როდესაც შეიტყო მისი საპრობილეში არყოფნის შესახებ, მიიმედა დასაჯა საპრობილის უფროსი და მაგისტრიანეს* უბრძანა, შეეპყროთ წმინდა ვასილისკო და გადაესახლებინათ კომანში, ბიზანტიის იმპერიის ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილში (იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო), სადაც თვითონ მიემგზავრებოდა.

მაგისტრიანემ დაამზადებინა სპილენძის ფეხსაცმელი, შიგნით წვერმასხვილი ღურსმნებით. წმინდანიც შეიპყრეს, შეკრეს ორმაგი ჯაჭვით, კისერზე რკინის ჯაჭვი მოაბეს, ფეხებზე კი სპილენძის ფეხსაცმელები ამოაცვეს. ღურსმნები წმინდანს ძვლებამდე შეერტო, ფეხებიდან სისხლი სდიოდა. ესეც არ აკმარეს. გზადაგზა საშინლად სცემდნენ.

ნათესავები, ახლობლები ტირილით მისდევდნენ მას. დედამ გაამხნევა კიდევ თავისი ვაჟი ქრისტეს რწმენაში და შინ შებრუნდა. „**მშვიდობით, ძმებო, ჩვენ ერთმანეთს კიდევ ვიხილავთ საყოველთაო აღდგომის ჟამს**“, - მიმართა ახლობლებს წმინდა ვასილისკომ.

ჯარისკაცები სოფელ დაკოზირიაში შევიდნენ. ისინი სახლში ერთმა ქვრივმა დედაკაცმა შეიპატიჟა. ჯარისკაცები ილხენდნენ, წმინდა ვასილისკო კი თაკარა მზეში კარებთან, გამხმარ მუხაზე იყო მიბმული. მან ვედრებით მიმართა უფალს. და ამ დროს ხმა მოესმა: „**ნუ გეშინია, მე შენთან ვარ**“.

და სასწაულიც მოხდა: უეცრად სპილენძის ფეხსაცმელები ცვილივით შემოადნა, ჯაჭვები თავისით ჩამოცვივდა, ხმელი მუხა უცებ აყვავილდა და ხშირმა ფოთლებმა მზე მოუჩრდილა. წმინდანის სისხლით მორწყული მიწიდან წყარომ ამოხეთქა და მიწაც იძრა. წმინდა ვასილისკომ მადლობა შესწირა უფალს: „**მართლაც ვინა ვარ მე, უღირსი, რომ ასეთი დიდი და საკვირველი წყალობა გამოაჩინე ჩემზე**“.

მიწისძვრით შეშინებული მაგისტრიანე და ჯარისკაცები გარეთ გამოცვივდნენ და იქ ნანახით უფრო გაოცდნენ. ზოგი ამბობდა, გვეჩვენება, ეს ჯადოქრობა არისო, სხვები კი გაიბახოდნენ, ეს წმინდა კაცი ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენი მხარის საკურთხებლადო.

* – მმართველის თანაშემწე.



წმინდა ვასილისკოს სახელობის ბაზილიკის მაკეტი

“მე ტვინის ზეცხური სიწყვილი ვიყვებნები”

მრავალმა ირწმუნა მაშინ ქრისტე და მისი ძალა. მოდი, სწეულებიც ვაჩვენოთ, მოიფიქრა ვიღაცამ.

მოუყვანეს განრღვეული.* წმინდანმა ხელი შეახო და ჯანმრთელი ფეხზე წამოდგა. მოუყვანეს კეთროვანი, მასაც ხელი შეახო და განკურნა. წმინდა ვასილისკოს ლოცვით ყველა დაავადებული ასე განიკურნა.

ბევრმა ნათლობის სურვილიც გამოთქვა. მაგისტრიანემ კი, ამ სანახაობით გაოგნებულმა, მეორე დღით მდებლად გამგზავრება შეახსენა თავის ტყვეს.

გაუდგნენ გზას. ყოველ ბორცვზე წმინდა ვასილისკო მუხლს იდრეკდა და ლოცვას ადავლენდა. ასე მიაღწიეს სოფელ სიონამდე. დასხდნენ სატრაპეზოდ. მაგისტრიანემ სთხოვა:

– პური ისმიე, შიმშილით რომ არ მოგვიკვდე; სამი დღეა, პირში ხემსი არ ჩაგსვლია.

წმინდანმა ბრძანა:

– მე უხრწნელი საჭმლით ვარ აღვსებული და არ მინდა ხრწნადი საკვები მივიღო. თქვენ მიწიერი პურით იკვებებით, მე კი ღვთის ზეციური სიტყვით. თქვენ ღვინით მხიარულობთ, მე კი სულიწმიდის მადლი მახარებს. თქვენ ხორციელი მხნეობა განგაძლიერებთ, მე კი ქრისტეს სახელით აღებული ჯვარი. თქვენ ოქრო განგამდიდრებთ, მე კი იესო ქრისტესადმი სიყვარული.

მაგისტრიანემ და მისმა ჯარისკაცებმა შენდობა შესთხოვეს წმინდანს იმ სისასტიკისთვის, რასაც თავიანთი უმეცრებით სჩადიდნენ.

გადასახლება ყომანში, აფხაზეთის ულამაზეს სოფელში

მეორე საღამოს, ოთხ საათზე, მიაღწიეს კომანს. გზაში შემხვედრთაგან შეიტყვეს, რომ აღრიპას მოუკლავს ყველა, ვინც კერპებს არ ეთაყვანა.

უფალი გამოეცხადა წმინდანს და ისევ ანუგეშა:

– განმხნევი, კერპთაყვანისმცემელთა მუქარისა ნუ გეშინია, რამეთუ მე შენთან ვარ!

მაგისტრიანემ წმინდანი აღრიპას აპოლონის ტაძარში მიუყვანა და მოუთხრო მომხდარი სასწაულების შესახებ. მან ეს, რა თქმა უნდა, ქრისტიანთა ჯადოქრობით ასხნა.

წმინდანი ახალმა ჯარისკაცებმა აღრიპას მიუყვანეს.

– ვინ არის შენი ღმერთი? – ჰკითხა აღრიპამ.

– ჩემი ღმერთი გამოუთქმელია, მიუწვდომელია, აუხსნელია თავისი ბუნებით, მეუფე ყოველთა, მოწყალე მაცხოვარი, მრავლისდამთმენი. მხოლოდ მას შევსწირავ კების მსხვერპლს! – უთხრა წმინდანმა აღრიპას და შეუდგა ლოცვას.

ლოცვის დამთავრებისთანავე მიწა იძრა და აპოლონის კერპი დაიმსხვრა. განრისხდა მმართველი, ვასილისკო ტაძრიდან გამოაყვანინა და ბრძანა, მახვილით თავი მოჰკვეთეთო.

ჯარისკაცებმა ქალაქის გარეთ, დიოსკურიას წაიყვანეს. ნაბრძანები იყო მისი ცხედრის მდინარეში გადაგდება. როცა წმინდანს თავი მოჰკვეთეს, იქ მყოფმა ხალხმა ცხადად იხილა უფლის ანგელოზები, რომელთაც ზეცაში აჰყავდათ წმინდანის სული. იქ კი მას ფეხზე მდგარი შეეგება მაცხოვარი.

წმინდა ვასილისკოს სხეული ჯალათმა მდინარეში გადასაგდებად წაიღო. მორწმუნეებმა მას ოცდაათი ოქროს მონეტა მისცეს, ცხედარი გამოისყიდეს და დაკრძალეს მინდორში. იმავე საღამოს ამოჯეჯილდა ნათესი, მეორე დღეს კი უკვე ნაყოფი გამოიღო.

როცა წმინდანისთვის საფლავს თხრიდნენ, ქრისტიანებს მოსწყურდათ, შესთხოვეს წმინდა ვასილისკოს და იქვე წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღესაც მოედინება და მისი რწმენით შემსმელნი სწეულებათაგან იკურნებიან. წყაროში დღესაც არის წმინდანის წმინდა სისხლის წვეთებით ნაპკურები ქვები.

კეთილმორწმუნე კომანელებმა, მოქალაქე მარინმა წმინდანის სახელზე ეკლესია ააშენა. წმინდა ვასილისკოს საფლავი გათხარეს და წმინდა სხეული ტაძარში გადაასვენეს.

P.S. ყომანში, ასევე, აღუსხუდა ქიისკანობის მნათობი, უდიდესი წმინდანი, მღვდელმთავარი იოანე ოქმოპოი. იგი 407 წელს ყონსტანტინოპოლიდან გადაასახლეს ყომანში, სადაც დაუძღვრებულმა უკანასკნელი ნიჟა აღაჯინა და მიიყვანა.

ამ წმინდა ადგილას, საკმეზიძოლეობის ვამს, დაფუძნდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ჰატიოსანი თავი, ჩემიერ 850 წელს საღმთო გამოცხადებით მესამედ იპოვეს.

წმინდა მონაწიე ვასილისკოს შესთხოვა საქართველოს ერთნობა და გადაჩენა 1993 წელს სიკვილის წინ მღვდელ-მონაზონმა ანდრეამ (ყუჩაშვილი).

ჩვენც დიდი ხედუებითა და ჰატივისცემით შევევედომო საქართველოს წმინდა მონაზე აღსხულებულ წმინდა მონაწიე ვასილისკოსა და ქიისკეს ერთგულ წმინდანთ, ჩემ დაემკვიდრნენ ეს მშვიდობა, გაამთიანონ და გააძლიერონ იგი! ამინ!



საძირკვლის კურთხევის დღე-მამა გიორგი – პირველი აგური



„ხელოვნების ნიმუშთან რომ მიდიხარ, შენ უნდა გაჩუმდე და ლაპარაკი ნაწარმოებმა უნდა დაიწყოს“, – წერდა გამოჩენილი მოქანდაკე, იაკობ ნიკოლაძე.

ორინტოლოგების კვლევით, არწივი ბუდეში მხოლოდ ორ კვერცხს დებს; ერთ-ერთი მართვე, რომელიც პირველად გამოიჩეკება, შედარებით ძლიერია და კლავს მეორეს. მეცნიერები ამ მოვლენას „კაენ-აბელის“ სინდრომს უწოდებენ.

ილია ჭავჭავაძის ცხედარს საგურამოდან, მშობლიური სახლიდან თბილისამდე აურაცხელი ხალხი მიაცილებდა. როდესაც პროცესია მკვლევლობის ადგილზე შეჩერდა, პოეტმა იროდიონ ევლოშვილმა სისხლიან ადგილს ქვები შემოაწყო და ხალხს უთხრა, აქ ობელისკი უნდა აღიმართოსო. ობელისკი დღეს წიწამურში სწორედ ამ ადგილზეა.

დიდმა რუსმა ხელოვანმა – ნემიროვიჩ დანჩენკომ თქვა სახელოვან ვერიკო ანჯაფარიძეზე: „ისეთ მსახიობს, როგორც თქვენა ხართ, ორი ან სამი ნათამაშები, უფრო ზუსტად, განცდილი როლისთვის ძეგლს დაეუდგამდი.“ ამ რამდენიმე წლის წინათ ინგლისელებმა ვერიკო ანჯაფარიძე მსოფლიოს 10 საუკეთესო ტრაგიკოს ქალს შორის დაასახელეს.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავზე ვაჟას ნათლულის – გოგლა ლეონიძისა და „ცისფერყანწელთა“ თაოსნობით პოეტის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს. გალაკტიონმა მაშინ ბრძანა: „მთაწმინდა ისე არავის ეკადრება, როგორც ამ მართლაც წმინდა კაცს.“

1965 წელს მოსკოვში გამართულ IV საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც წარმოდგენილი იყო 67 ქვეყნის კინოხელოვნება, მათ შორის, „ჯარისკაცის მამა“, ფესტივალის ყიურიმ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაწესებული პრიზი სერგო ზაქარიაძეს მიაკუთვნა. „ზაქარიაძე – ეს ხელოვნების დღესასწაულია“, – აღნიშნა ცნობილმა კინორეჟისორმა, გრიგოლ ჩუხრაიძე.

აკაკი წერეთლის პირველი სიყვარული, რომელიც თითქმის 50 წელი გრძელდებოდა, იყო ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვა სამოციანელთა თვალსაჩინო თანამებრძოლის, კრიტიკოსისა და ლიტერატორის – ნიკო ნიკოლაძის და, ანიკა ნიკოლაძე. აკაკი მას ხუმრობით „პატარა ქალბატონს“ ეძახდა. ყმაწვილობაში აკაკის ნახუქარი გიშრის საათი, რომელსაც „თილისმა საათს“ ეძახდა, ანიკას მთელი სიცოცხლე გულზე ეკიდა.

დიდი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის უფროსი ძმა, ივანე ფალიაშვილი პირველი ქართველი დირიჟორია. ცნობილ რუს მომღერალს, თეოდორ შალიაპინს სწორედ მან დაულოცა გზა დიდ ასპარეზზე.

ინდიელები ამბობენ, რომ შვილს თავიდან უნდა მოექცე, როგორც მეფეს, შემდეგ – როგორც მონას, ბოლოს კი – როგორც მეგობარს.

„სიყვარულზე მეტი ჭირი და ღხინი ღმერთს არ გაუჩენია“, – ეს ვაჟაა.

შუა საუკუნეებში დამნაშავეს ახლობლები ჯალათს ქრთამს აძლევდნენ, რომ მისთვის ერთი დარტყმით მოეკვთა თავი.

მამალ ბაყაყს დედალი წინა კიდურებით უჭირავს, როცა ის ჭვირითს ყრის.

ჭადარი ორსქესიანი მცენარეა – ყვითელი მამრობითი და წითელი მდედრობითი ყვავილები ერთ ხეზე ხარობს. განაყოფიერებული მდედრობითი ყვავილისგან ვითარდება ნაყოფი.

აღ-მანსური – XI ს.-ის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მუსლიმანური ესპანეთის მხედართმთავარი, რომლის დროსაც კორდოვას (ესპანური ქალაქი) ხალიფატმა განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია. 1002 წელს ესპანელებმა დაამარცხეს მავრები და კორდოვა ხელთ იგდეს. აღ-მანსურმა გადაწყვიტა, ბოლომდე ებრძოლა, შური ეძია. შეაღწია კიდევ მტრის ბანაკში; თვითონაც დაიღუპა, მაგრამ ესპანელთა მთელი ჯარიც გაწყვიტა. ბანაკში შეღწევამდე თურმე მან შავი ჭირით დაიავადა თავი.



200-წლიანი ისტორიისთვის

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე იუბილარია



მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ვესტიბული

შენობები ხალცითა ადამიანებს ჰგვანან. მათაც თავისი ცხოვრება აქვთ, საკუთარი წახსული და ბიოგრაფია. ზოგჯერ მათი ახსენობა მნიშვნელოვან კვანძებს ცენტრალურ ჰიროვნებებს, ქალაქისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში. სწორედ მათ უკავშირდებიან დიდებულ ადამიანთა სახელებს, საოცარი ფაქტებსა და ლეგენდებსაც კი.

სწორედ ასეთ ნაგებობათა ხილვას განეუთვნება 200 წელზე მეტი ხნის შენობა, იგივე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.

ეს ფაქტები და ისტორიები უკავშირდება მთავარი მთავარი მთავარი სასახლის XIX საუკუნეში, ამას ჰუბლიკაციიდან შეიცვალა მკითხველი.

მაგჩამ სასახლის ისტორიაში ახანაქებ მნიშვნელოვანი თარიღია 1936-37 წ.წ. სწორედ მაშინ საქართველოს მთავრობამ შენობის ბავშვებისათვის გადაცემა

გადანერგა. 300-მდე მოთხსა და დახმარება მოუწყო სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული და გასართობი დახმარება. ძველი სამედიცინო დახმარება თეატრალური დახმარება შეიცვალა, მედიცინის დიდი სასახლე მოთხი და მდიდარი საღობი ბავშვთა გასართობი, ე.წ. «სახეობიან» და «თეთი» დახმარებად გადაკეთდა.

აქედმედიცინი ივანე ჯავახიშვილი წერდა: «დიდი სამედიცინო საქმე გაკეთდა, შენობა ბავშვებს გადაეცათ. ამიერიდან ეს სასახლე გადაიქცევა ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის ნამდვირ კუთხედ.»

დღეს სასახლე - მოხატული შემოქმედებითი და ინტელექტუალური ზღვის დიდი სკოლა იუბილარია - 75 წლის.

ასე გადნება - გახეთქებაში, "გიორგის ბაღში"

მე-18 ს.-ის ცნობილი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის – ვახუშტი ბატონიშვილის (მეფე ვახტანგ VI-ის შვილი) მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით მისი დროის თბილისის სამ ძირითად ნაწილად იყოფოდა: სეიდაბად* (დღევანდელი ორთაჭალის აბანოების ტერიტორია), კალადა** (დღევანდელი ნარიყალას უბანი, დადიანისა და ბარათაშვილის ქუჩების ტერიტორია) და ავლაბრად (მტკვრის მარჯვენა ნაპირი).

თბილისის მოსახლეობა იზრდებოდა და მიიწვედა ჩრდილოეთისკენ, ე.წ. გარეთუბნისკენ. ამ მიდამოს გარე ზღვარი ქაშუეთის ეკლესიამდე აღწევდა (ანუ, ეს ადგილი თბილისის გარეთუბნად ითვლებოდა).

1751 წელს ქართლის მეფემ, თეიმურაზ II-ემ (შესანიშნავმა პოეტმა და მხედართმთავარმა) კეთილშობილ თავადიშვილს – რევაზ ორბელიანს უწყალობა გარეთუბანში მდებარე „მეიდნის სასახლის“ ადგილი. მაშინ ეწოდა ამ ტერიტორიას „ორბელიანების უბანი“.

ცოტა მოგვიანებით, თბილისის კედლებს მიღმა მდებარე ეს ტერიტორია ბაღებითა და ვენახებით დაამშვენა ერეკლე მეფის ვაჟმა, ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ – გიორგი XII-ემ და მას „გიორგის ბაღი“ დაერქვა.

სწორედ „გიორგის ბაღიდან“ იღებს სათავეს თბილისში არაერთ ისტორიულ ნაგებობას შორის გამორჩეული მნიშვნელობის, XIX ს.-ში აშენებული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, გარეგნულადაც და დიდებული წარსულითაც დღესაც რომ ასე გვაწონებს თავს. საინტერესო კი უფრო ისაა, რომ ბაღის მცირეოდენი ნაწილი, პირვანდელი სახით, დღესაც შემონახულია.

215 წლის წინათ, როცა საქართველოს სამეფომ შეწყვიტა არსებობა და ის რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა, გადაწყდა, რომ თბილისში ფუნქციონირებას დაიწყებდა რუსეთის სახელმწიფოებო ორგანოები. ამისთვის შესაფერისი ნაგებობა კი ქალაქში არ მოიძებნებოდა.

ქვეყნის გამგებლად რუსეთიდან მოვლინებული მთავარმართებლებისთვის შენობის ასაგებად შეირჩა გამორჩეული ადგილი. და ეს იყო სწორედ გარეთუბანი, „გიორგის ბაღის“ ტერიტორია.

მეტი ბხნიწვანება ხომ შეეძინა

1801 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოსულ ასტრახანის გენერალ-გუბერნატორსა და მომავალში კავკასიის პირველ მთავარმართებელს, გენერალ – კარლ კნორინგს დაევადა, მოემზადებინა მასალები იმის შესახებ, შექმნებდა თუ არა ქართული სახელმწიფო დამოუკიდებლად არსებობას.



XIX საუკუნის 50-იანი წლების თბილისი

კნორინგის დასკვნაში ჩაიწერა, რომ ქართველი ხალხის, როგორც უუნარო ერის, გადარჩენა შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი სახელმწიფოებრიობის მოსპობით.

საინტერესოა, რომ საქართველოს იმპერიასთან შეერთების იდეას შეეწინააღმდეგა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთი წევრი – ვიქტორ კონუბეი (შინაგან საქმეთა მინისტრი),

28 * – უბანს ეს სახელი ეწოდა XVII ს.-ის 30-იან წლებში აქ დასახლებული სპარსული ტომის – სეიდების მიხედვით (ნიშნავს სეიდების დასახლებას). ** – სიტყვა უკავშირდება „ნარიყალას“ (ნარინ-კალა (სპარს.) – ფოთლური ხანის ციხე და უბანი თბილისში).



ნიკოლოზ ნოვოსილცევი, ადამ ჩარტორისკი, აგრეთვე, გრაფი – მიხეილ ვორონცოვი.

რუსეთის იმპერატორისადმი – ალექსანდრე I რომანოვისადმი მირთმეულ მოსვენებაში ისინი დაუფარავად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს იმპერიასთან შეერთების იდეას.

მიხეილ ვორონცოვი, რომელიც 45 წლის შემდეგ საქართველოს მოველინება იმპერატორის მოადგილედ და პირველ მეფისნაცვლად, მაშინ მხოლოდ 19 წლის იყო.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით მაინც გადაწყდა საქართველოს რუსეთთან მიერთება.

რამდენიმე თვეში ქართველმა ქვითხურობმა, სამხედრო ინჟინრების ხელმძღვანელობით, დაასრულეს ორი კორპუსისგან შემდგარი მთავარმართებლის შენობის აგება. თუმცა ქართველ მეფეთა ულამაზეს „გიორგის ბაღშიც“ კი ეს პატარა შენობა თურმე ძალზე უღიმღამოდ გამოიყურებოდა.

ენოზის მერე კავკასიის შემდეგმა მთავარმართებელმა, ინფანტერის გენერალმა – პავლე ციციანოვმა (ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში გადასახლებული პაატა ციციშვილის შვილიშვილი) სასახლის ბაღიც დაამშენა, თან ამ უბანს „*Правительственные места*“ უწოდა.

1807 წელს ძველი ნაგებობის ადგილზე აშენდა უკვე ახალი სასახლე, რომელიც რუსული კლასიციზმის ნიმუშს წარმოადგენდა. ეს იყო იმდროინდელი თბილისის ყველაზე გამორჩეული შენობა. კავკასიის მთავარმართებლად სასახლეში იჯდა უკვე ივანე გუდოვიჩი, მის მიმდებარე ქუჩას კი (ახლანდელი რუსთაველის გამზირს) „რუსეთისკენ მიმავალ გზად“ იხსენიებდნენ.

1818 წელს ეს შენობაც დაანგრეს და არქიტექტორ ბრაუნმილერის პროექტით აშენდა მთავარმართებლის ახალი რეზიდენცია; თანამედროვეობას არც ეს შენობა შემორჩა, მაგრამ იმ წლებში გადაღებულ თბილისის პანორამაზე ნათლად ჩანს მისი ფასადი. მთავარ გამზირს ოფიციალურად უკვე „სასახლის ქუჩა“ (*Дворцовая улица*) ერქვა.

1802 წლიდან 1844 წლამდე შეიცვალა 11 მთავარმართებელი.

1845 წელს, როდესაც კავკასიაში მთავარმართებლის ნაცვლად მეფისნაცვლის თანამდებობა შემოიღეს, სასახლე ვერც ვიზუალურად და ვერც მასშტაბით უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა უზურპატორთა განუსაზღვრელ ამბიციებს.



მეფისნაცვლის სასახლე. XIX ს.-ის შუა წლები

"ვორონცოვის სასახლე"

პირველი მეფისნაცვალი იყო – გრაფი მიხეილ ვორონცოვი. მისი მმართველობის პერიოდი საქართველოსთვის იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მეფისნაცვალთა ხშირი მონაცვლეობის მიუხედავად (სულ იყო 6 მეფისნაცვალი), სასახლეს „ვორონცოვის სასახლის“ სახელი ბოლომდე შემორჩა.*

პეტერბურგიდან მოიწვიეს ცნობილი არქიტექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ სემიონოვი, რომელმაც 1845-1847 წ.წ.-ში საფუძვლიანად შეცვალა სასახლის იერსახე; ფაქტობრივად, აიგო კლასიკურ სტილში მოქცეული უნიკალური კორპუსი სკულპტურული გამოსახულებებით, სვეტებით, თაღოვანი კოლონებით, მდიდრული გალერეით.

უკანა ეზოს მიმდებარე ბაღი საგრძნობლად გაიშალა, დამშვენდა ულამაზესი ხეივნებით, ფანტაზურით, შადრევნებითა და აუზით და მას „სასახლის ბაღი“ ეწოდა. აქ შესვლის უფლება მხოლოდ უმაღლესი წოდებისა და შეძლების ჩინოსნებს ჰქონდათ.

მთავარმართებლის სასახლემ საბოლოო სახე მხოლოდ 1869 წელს მიიღო.

თბილისში მოღვაწე შეეღმა ხუროთმოძღვარმა, ოტო იაკობ სიმონსონმა ადრინდელი ნაგებობის საფუძვლიანი რეკონსტრუქციით მას სრულიად ახლებური იერი შესძინა: კლასიკური სტილი შეიცვალა რენესანსულით: განსაკუთრებით, დამშვენდა სასახლის მეორე სართული და წვეულებებისათვის განკუთვნილი დარბაზი. კიდევ უფრო საზეიმო გახდა სამხრეთ ვესტიბული (ბაღის მხარე).

ჩაკომ ააფახეს ფანჯრებს ძახლები?

1886 წლის 24 მაისს, როცა კავკასიის მთავარმართებლად ქართველთმოდულე – ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი იყო (1881 წლიდან მეფისნაცვლის თანამდებობა ისევ მთავარმართებლით შეიცვალა). თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილმა მოსწავლემ – 19 წლის იოსებ ლალიაშვილმა მოკლა ამავე სემინარიის რექტორი, სისასტიკით გამორჩეული – პავლე ჩუღეცკი.

შავრაზმელმა ეგზარქოსმა, მღვდელმთავარმა პავლემ,



„სასახლის ქუჩა“ – „რუსეთისკენ მიმავალი გზა“

* – „იალქნის“ შემდეგ ნომერში, სათაურით „ყველაზე წესიერი რუსი“, დაიბეჭდება პუბლიკაცია მიხეილ ვორონცოვის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდზე.



სამხრეთის ფასადიდან – „გიორგის ბაღში“

ჩუდუცის დასაფლავების დღეს დასწყველა მკვლელი, ქართველი ერი კი ანათემას გადასცა.

მაშინ მისწერა დიდმა ქართველმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოს პავლეს თავისი ისტორიული წერილი და თან შეუთვალა: ან დალოცე ქართველი ერი, ან დაუყოვნებლივ დატოვე ჩვენი ქვეყანა.

ეს არ აპატიეს დიმიტრი ყიფიანს და საქართველოს მთავარმართებელმა, ისე, რომ პეტერბურგს არც დაეკითხა, 72 წლის მოხუცი გადაასახლა სტავროპოლში, სადაც წელიწადნახევარში ვერაგულად მოკლეს.

დიმიტრი ყიფიანის, როგორც საქართველოსათვის წამებულის დასაფლავება ეროვნულ დემონსტრაციად იქცა. დაკრძალვის ხელმძღვანელი იყო ვალერიან გუნია, ხოლო გამსვენებელი – ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე).

დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით, სამგლოვიარო პროცესიას

სასახლის წინ არ უნდა გაეწყო. პოლიცემისტერს წინ გადაუდგა ვალერიან გუნია.

– რისთვის გვაჩერებთ? – იკითხა მან.

– მთავარმართებლის ბრძანებაა ასეთი! – იყო პასუხი, – მიცვალებული სხვა ქუჩით უნდა აასვენოთ მთაწმინდაზე!

– აქ ბატონ-პატრონი მე ვარ და არა მთავარმართებელი! – ხმამაღლა დაიძახა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, – აბა, გამოძევით, ხალხნო, ვნახოთ, ვინ დაგვიდგება წინ!

ქართველი მღვდელმთავრის ნათქვამით გამხნეებულმა ხალხმა ჩაუარა მთავარმართებლის სასახლეს, სადაც ფანჯრებს თურმე დარბაზები ააფარეს, რომ იქ მყოფთ არ დაენახათ, რა ხდებოდა გოლოვინის პროსპექტზე.

იცვებოდნენ მთავარი მათებლები, ახ იცვებოდა სასახლის პოლიტიკა

გადიოდა წლები. ირეოდა ერთმანეთში სხვადასხვა მოვლენა, ისტორიული დღეები. იცვლებოდნენ მთავარმართებლები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა უღამაზესი სასახლე თავისი მჩქეფარე ცხოვრებითა და დარბაზობებით. და, რაც მთავარია, მკაცრი იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკით.

საქართველო XIX საუკუნეში უკვე სახელმწიფოებადაკარგული შევიდა.

... პავლე ციციანოვმა, რუსეთში გაზრდილმა ქართველმა, რომელიც თავს არ მიიჩნევდა ქართველად, საფუძველი ჩაუყარა მახინჯ ტენდენციას: მოსახლეობისაგან დაცლილ ადგილებზე აბინავებდა იმპერიის ერთგულთ, ძირითადად, გადმოსახლებულ რუსებს.

... 1810 წლის 16 აგვისტოს, როცა რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის საზღვაო დესანტმა დაამარცხა სოხუმში განლაგებული თურქთა გარნიზონი და აიღო სოხუმის ციხე, მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა, „კაცმა მძვინვარემ და უწყალომ“, მიულოცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ნიკოლოზ რუმიანცევს „სოხუმის ციხის აღება, იმ სიმაგრის, აფხაზებს ასე რომ ეამაყება“.

რუსულმა პრესამაც აღნიშნა, რომ „რუსეთმა მყარად მოიკიდა ფეხი შავი ზღვის სანაპიროზე“.

... მარკიზმა ფილიპო პაულიჩმა სულ რამდენიმე თვე დაჰყო მთავარმართებლის პოსტზე, მაგრამ, როგორც იუწყებოდა გაზეთი „კავკაზი“, „ამ მცირე დროშიც ბევრი რამ შესძლო“: ჩაახშო დიდი ანტირუსული აჯანყებები კახეთში, ახალქალაქში, იმერეთში.

... „არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის საკითხი იარსებებს“, „აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯილაგი ერთ ცოფიან ძაღლადაც არ ღირს“, „ქართველები ადამიანობაზე პრეტენზიასაც არ უნდა აცხადებდნენ“, – ივან გუდოვიჩის, ფილიპო პაულიჩისა („კაცი ელაში, რაგვარადაც თვალთა, ვერევე სულითა“) და ნიკოლოზ რტიშჩევის („მექრთამე და შტერი მოხელე“) მერე რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი, ქართველთმოძულე – ალექსი ერმოლოვი ისტორიას ამ გამოთქმებითაც შემორჩა. კავკასიის მთიანეთში მას „ღვთის რისხვად“ მოიხსენიებდნენ.



ერთ-ერთი დარბაზი მთავარმართებლის სასახლეში

ერმოლოვთან დაკავშირებით მისი დროის თანამედროვე პოეტმა ლაკონურად და ზუსტად გამოხატა სათქმელი: „კავკასიავე, ბედს შეურიგდი – ერმოლოვი მოდის!“

კავკასიელი მთიელების სრული დამორჩილება მისი მმართველობიდან იწყება.

... დიპლომატიური მისიით ირანში გამგზავრებამდე, 1829 წელს, მთავარმართებელ ივანე პასკევიჩის სასახლეში თავის უკანასკნელ წვეულებაზე ბრძანდებოდა ნინო ჭავჭავაძის მეუღლე, რუსი პოეტი, ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელიც უცხოეთში ანტირუსულ აჯანყებას ემსხვერპლა.

თავისი მმართველობისას პასკევიჩმა შეიმუშავა კავკასიის მთის ხალხების სწრაფი დამორჩილების გეგმა; მის ერთ-ერთ ნაწილს



შეადგენდა ე.წ. „აფხაზეთის ექსპედიცია“, რომლის მიზანი იყო აფხაზეთის სანაპირო ზოლის სრული ოკუპაცია.

„აფხაზეთი და გურია, – წერდა მაშინდელი რუსული პრესა, – ჩვეულებრივ რუსულ პროვინციებადაა ქცეული“.

... **პეტრე I-ის მერე** ნიკოლოზ I იყო პირველი იმპერატორი, ვინც ესტუმრა კავკასიას, ჩამობრძანდა თბილისშიც. ეს იყო 1837 წელს, ბარონ გრიგოლ როზენის მმართველობის დროს.

სასახლის მეჯლისის იმ დღეს ესწრებოდა რუსი პოეტი, მიხეილ ლერმონტოვიც. რუსეთის იმპერატორს საცეკვაოდ გამოუწვევია მთელს კავკასიაში სილამაზით განთქმული მართა სოლოდაშვილი (ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი და ლიტერატორული სალონების რჩეული).

მთავარმართებელ გრიგოლ როზენის დროს თბილისში გამოქვეყნდა 1832 წლის „შეთქმულება“. შეთქმულება გასცა და როზენს ამის შესახებ აცნობა თბილისის საქალაქო გუბერნატორის, ნიკო ფალავანდიშვილის ძმამ – იასემ (სხვებთან ერთად ისიც გადაასახლეს).

... **ვეგენი გოლოვინი** იყო პირველი მთავარმართებელი, საუნივერსიტეტო განათლებით.

მაგრამ სწორედ გოლოვინის მმართველობის დროს, 1837 წელს, თბილისში შეიქმნა პოლიტიკური პოლიცია-ჟანდარმერია. სწორედ მან დაამტკიცებინა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიის ხალხებს შორის ეროვნული ნიშნის საბოლოოდ მოსპობასა და იმპერიის სტრუქტურასთან ასიმილაციას.

... **1846 წლის 6 ნოემბერს** კავკასიის მეფისნაცვალ – მიხეილ ვორონცოვთან დარბაზობაზე მიწვეული პოეტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი – ალექსანდრე ჭავჭავაძე „ოდინოკათი“ (ერთცხენიანი ეტილი) მიიჩქაროდა, როცა ეტილიდან ჩამოვარდა და თავის მძიმე ტრამვა მიიღო.

იმავე დღეს მომაკვდავი პოეტი ვორონცოვმა მეუღლესთან ერთად მონახულა.

... **ნიკოლოზ მურავიოვის** მერე კავკასიის მეფისნაცვალა ალექსანდრე ბარიატინსკი.* მისი მმართველობის დროს, 1859 წელს, აულ ღუნიბში ტყვედ შეიპყრეს შამილი. ამ დამსახურებისთვის იმპერატორმა ბარიატინსკის ფელდმარშლის უმაღლესი წოდება მიანიჭა და საჩუქრად გადასცა ბრილიანტებით გაწყობილი ხმალი წარწერით – „კავკასიის დამორჩილების ნიშნად“.

ბარიატინსკის დროს რამდენიმეწლიანი კავკასიური ომი დასრულდა.

... **ბარიატინსკის მერე** მთავარმართებლის სასახლის ბატონ-პატრონია რუსეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბიძა – მიხეილ რომანოვი.

როგორც თანამედროვენი წერენ, მას ძალიან „მოსწონდა“ საქართველო. ხშირად თურმე ქართული ჩოხა-ახალუხითაც დადიოდა. ბორჯომში ააშენა ჩინებული საზაფხულო რეზიდენცია (მოგვიანებით ბორჯომის წყალი რუსეთის იმპერიის ყველაზე ცნობილი მინერალური ბრენდი გახდა).

მიხეილ რომანოვიც, სხვების მსგავსად, უცვლელი დამპყრობლური პოლიტიკის გამტარებელი იყო.

1884 წლის მარტში მთავარმართებელმა იმპერატორს მოახსენა, რომ, დროა, სამთავროსთან ერთად აფხაზეთში გაუქმდეს მთავრის ტიტულიც. მაღე აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, მიხეილ შარვაშიძე, უკვე ასაკოვანი და დაავადებული, რუსეთში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა კიდევ.

ამ მთავარმართებელს უკავშირდება თავისი შედეგებით ავადსახსენებელი ე.წ. „მუჰაჯირობაც“. 1867 წელს, წყაროს მიხედვით, სამშობლო დატოვა 20 ათასამდე აფხაზმა, 1877 წელს კი – 30 ათასამდე. თურქეთში გადაასახლეს ჩრდილოეთ კავკასიელებიც (750 ათასამდე ადამიანი).

ამ აქტით დაასრულა რუსეთმა საქართველოსა და მთელი კავკასიის დაპყრობა. „კავკასიის კეთილი გენიაც“ ამიტომ უწოდა რუსეთმა მიხეილ რომანოვს.

... **1869 წელს თბილისში** სტუმრად იყო ალექსანდრე პუშკინი. მისი თანამედროვე კონსტანტინე სავოსტიანოვი წერდა: „პოეტმა თავის მშვენიერ სიტყვაში სული და გული გადაგვიშალა: ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს დღე, ამაზე მეტად კარგ გუნებაზე ვყოფილიყავი“.

... **თურმე სასახლის** ოფიციალურ მიღებაზე არ შეუშვიათ დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომელიც მთავარმართებელ გიორგი გოლიცინს ეროვნული სამოსით – ჩოხა-ახალუხით სწვევია.

... **მთავარმართებელმა სერგეი შერემეტეევმა** თბილისში შენობების ნუმერაცია 1891 წელს დაიწყო „სასახლის ქუჩით“, იმდროინდელი ქალაქის ყველაზე განიერი ქუჩით. ეს არის შემდგომში გოლოვინის, ამჟამად კი რუსთაველის გამზირი, სადაც 200 წლის წინათ ააგეს მთავარმართებლის სასახლე და სადაც დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეა.



მიხეილ რომანოვის ამაღლა ქართველ თავადებთან ერთად

P.S. იყო XIX საუკუნე თავისი მნახე შედეგებით. საუკუნის მანძილზე აქ, ამ სასახლეში, ფაქობიჯად, წყებობდა ქვეყნისა თუ ზოგადად ამიუჩავკასიის ბედი. დაგა XX საუკუნეც. და, აი, 1918 წლის 26 მაისს მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის თავზე საქართველოს ეროვნული ელზა აფხიაცა. ნოე ყოხდანის მთავრობამ ამ შენობაში ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თავისუფალი საქართველოს პიხველი ეონსტიტუცია აქ მიიღეს.

* – დღევანდელი გია ჭანტურიას ქუჩა მის სახელს ატარებდა.



ეირაფი და სუალონი ჰალი

ნუნუ ჯანელიძე



საზღვარი არალეგალურად უნდა გადაეღასათ. მასთან ერთად კიდევ ორი კაცი იყო. მძღოლმა მათ უთხრა, რომ ავტობუსის საბარგულში ცხრაფად მოკეცილებს რამდენიმესაათიანი მგზავრობისათვის როგორმე უნდა გაეძლოთ.

მარცხენა ფეხი რაღაც უჩვეულოდ სტკიოდა. ავტობუსის მძღოლს თვალეზე ცრემლმომდგარი შეეხვეწა, ასე ვერ ვიმგზავრებ, ასე არ შემიძლია, რამე სხვა მომიფიქრე, თორემ მოკვკვდებიო. სვირინგებიან მძღოლს მის მუდარაზე გაეცინა, ბატონო, ყველა ასე გადამყავს, ჩვენ ხომ შევთანხმდით, თუ არ შეგიძლიათ, სახლში დარჩითო.

ამ ტანჯვაში იყო, რომ ძლიერმა ტკივილმა გამოაღვიძა. ვერ გაიგო, მის თავს რა ხდებოდა: სხეული არ ემორჩილებოდა, მხოლოდ გონებით შეეძლო მოძრაობა. თვალეები ირგვლივ ზანტად მიმოაბრუნებდა. თეთრხალათიანების დანახვისას გაახსენდა, ოპერაციას რომ უკეთებდნენ და მიხვდა, რენიმაციიაში იწვა. უშველებელ პალატაში ერთმანეთის ჩამწკრივებით იწვნენ მასავით ათასნაირად აპარატებზე მიბმულ-მიერთებულები.

ტკივილი თანდათან უფრო აუტანელი ხდებოდა. უნდოდა, მორიგე ექთნებისთვის ეთქვა ან, თუნდაც, მიენიშნებინა, რომ ცუდად იყო, მაგრამ ამას ვერაფრით ახერხებდა. სიტყვას ვინ ჩივის, ხმის ამოღებაც არ შეეძლო, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა უსუსურად. ექთნები აქეთ-იქით დაფრთხილებდნენ, დროდადრო დახედავდნენ და გაეცლებოდნენ. ის კი კვდებოდა და მშველელი არავინ ჰყავდა. ბოლოს უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და გულში განწირულად დაიყვირა: ვკვდები!!!

რომ გამოეღვიძა, ისევ რენიმაციიაში იყო. ისევ იგივე საწოლები, პაციენტები, აპარატურებზე მიჯაჭვულ-მინასკვულები; ოღონდ ეს ყველაფერი რაღაც თბილი, ნათელი და სასიამოვნოც კი ეჩვენა. რა იოლი ყოფილა ოპერაციას, გაიფიქრა თავისთვის და აღტაცებით შეავლო თვალი იქაურობას.

შენიშნა, რომ რენიმაციას ორი დიდი კარი ჰქონდა,

შორი-შორს განლაგებული. უცებ ერთი კარიდან,

მასთან უფრო ახლოს რომ იყო, რაღაც საეჭვო ხმები შემოესმა, ფრუტუნ-ხრუტუნისა და ქშენის მსგავსი. მერე მძიმე სხეულების მოძრაობით გამოწვეული ბიძგები იგრძნო და გაფაცვიცდა. მოულოდნელად, ჯერ თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ შემოგლიჯა კარი, მერე კი ერთმანეთის მიყოლებით პალატაში ჯოგად შემოიჭრნენ ჟირაფი, სპილოები, ზებრები, მაიმუნები. წამით შედგნენ და საწოლებზე გადაკვანჭული პაციენტები ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს.

ამ დროს ყველაზე სასაცილოდ ჟირაფი გამოიყურებოდა: პალატაში უხერხულად იდგა და თავი, ლამის, ჭერზე ჰქონდა მიბჯენილი.





ავადმყოფები ცხოველების დანახვამ გაამხიარულა. ამან კი ისინი, ეტყობა, ცოცხა შეაცბუნა და მეორე კარისკენ კისრისტეხით გააქცია. ჟირაფიც ტორტმანით მიიწვედა წინ, დანარჩენები კი ბრაგუნ-ბრაგუნით მიხტოდნენ, მკერდით აწყდებოდნენ და უხერხულად ეხლებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ იმხელა ჭკუა თუ მოსაზრება მაინც ჰქონდათ (ადამიანებისგან განსხვავებით), აბურდულ-დაბურდულ მავთულებს არ წამოდებოდნენ და უმწეო ხალხისთვის არაფერი დაეშავებინათ.



ძალიან ლამაზი სანახაობა იყო. ცხოველები დაუსრულებლად დარბოდნენ ერთი კარიდან მეორეში და მგონი, თავისებურად იცინოდნენ კიდევ.

ასე ბავშვობისას დახტოდნენ (თავის დედულეთში) ის და მისი ბიძაშვილ-დეიდაშვილები კარიდან კარში, აკლებული ჰქონდათ ვეებერთელა სახლის პირველი სართული და უფროსების ძახილზე კიდევ უფრო გიჟდებოდნენ.

რეანიმაციის სტუმარი ცხოველებიც პატარებს ჰგავდნენ. მათსავით ანცობდნენ და ავადმყოფებს გაბრწყინებული თვალებით ეშმაკურად უყურებდნენ. ბოლოს, მგონი, ისინიც დაიღალნენ და თანდათან შეანელეს სვლა. მერე კი, როგორც ხმებზე მიხვდა, კიბეებზე ფეხების ბაკუნით დაეშვნენ და საავადმყოფოს ეზოში მიმოიფანტნენ.

მაღე თვითონაც ძილი მოერია და ამ ფერადი სანახაობით ბედნიერმა თვალები მიღწულა.

განთიადისას ვიღაცის ხმამ გამოადვიდა. რამდენიმე საწოლის იქით შუა ხნის ქალი იწვა და რაღაცას ხმამაღლა ჰყვებოდა. ეტყობა, ლაპარაკის ხასიათზე იყო, ენას არ აჩერებდა. როგორც კი ქალმა აფხაზეთი ახსენა, ყურები ცქციტა და კიდევ უფრო გამოფხიზლდა. ახლა ქალი საწოლზე წამომჯდარიყო, მავთულები მკერდზე დალალებივით ჩამოეყარა და სტალინისა და თავისი ქმრის ერთი შეხვედრის ამბავს იხსენებდა. სტალინის ხსენებამ ერთი კი გააღიზიანა, მაგრამ ქალს მაინც ინტერესით დაუგდო ყური.

ქალი ჰყვებოდა, რომ ერთხელ ბელადი სტუმრობდა გაგრას, იმ დასასვენებელ სახლს, სადაც თავისი ქმარი მუშაობდა. სადამო ხანი ყოფილა. სტალინი აივანზე მჯდარი დინჯად ბაასობდა. მოულოდნელად საუბარი შეუწყვეტია, ირგვლივ მიმოუხედავს და უთქვამს, რა კარგია აქაურობა, მაგრამ ირგვლივ ბალი რომ იყოს გაშენებული, ყველაფერი უფრო ლამაზი იქნებოდაო. ქალის ქმარს ბელადის ნათქვამი გულში მოხვედრია. მაღე სტალინი დასაძინებლად წასულა, დილით რომ გამოუღვიძია და აივანზე გასულა, საოცარი სანახაობის მომსწრე გამხდარა: ირგვლივ თურმე მშვენიერი ბაღი ჰყვაროდა!

საწოლზე მიბმულმა გაიაზრა, რომ ამ ამბის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. მისმა გონებამ სწრაფად დაიწყო ფიქრი იმაზე, როგორ მოეპოვებინა (უფრო დაწვრილებით) მასალა გაზეთისთვის. და, თუმცა,





წამოდგომა არ შეეძლო და არც კალამი და ფურცელი ჰქონდა ხელთ, დრო არ დაკარგა და ქალს ვინაობა ჰკითხა; რომ მერე, როცა ფეხზე წამოდგებოდა, სახელში სწვეოდა და უფრო მეტი გაეგო სტალინის, მისი ქმრის შეხვედრისა და ერთ დამეში აყვავებულ ბაღზე.

საღამოს, როცა უკვე პალატაში მყოფი ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა მოინახულა, ხეირიანად მოკითხვაც არ აცალა, სასწრაფოდ გაგზავნა განგებისგან გამოგზავნილი ქალის მოსაძებნად, მაგრამ თურმე, სულ ტყუილად. პაციენტის კვალს ვერსად მიაგნეს.

მერე ექთნებს სათითაოდ შეეხვეწა, დახმარებოდნენ მის პოვნაში, აღწერდა ქალის გარეგნობას (რომელიც თანდათან იცვლებოდა და ფერმკრთალდებოდა).

მაგრამ განთიადისას ზმანებასავით გამოცხადებული და იღუბალებით მოცული ქალი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ ვერაფერი გაიგო. მედპერსონალი კიდევ დიდხანს, დიდი მონდომებით კითხულობდა მის ასავალ-დასავალს და ბოლოს, თავმოებურებულებმა დაასკვნეს, ასეთი პაციენტი საერთოდ არ გვეყოლიაო.

მერე ფიქრობდა, იქნებ, იმ ქალს უჩვეულო ამბის მოყოლით უცხო ხალხის წინაშე თავის მოწონება სურდა და გამოგონილი ისტორია სრულიად უცერემონიოდ თავის ქმარს მიაწერა (რას იფიქრებდა, ამბებზე ჩასაფრებულ ადამიანს თუ გადაეყრებოდა).

მერე, კიდევ რომ დაფიქრდა და წლები გადათვალა, გაიაზრა, რომ ქალის მონაცოლი აშკარად დროში აცდენილი იყო. ქალი, ასე, 60 წლისას ჰგავდა და რანაირად იქნებოდა სტალინის დროინდელი. მოკლედ, ნელ-ნელა თვალები აეხილა და მიხვდა, ან ის ქალი ცრუპენტელობდა და ნარკოზი თუ მორფი ალაპარაკებდა ასე, ან, სულაც, რეანიმაციაში მორბენალი აფრიკის სავანის ცხოველთა მსგავსად, ის უცნაური ქალი და სტალინის ბაღის ამბავიც მხოლოდ მირაჟი იყო.

და ახლა, ზოგჯერ, როცა მშობლიური ადგილების ნოსტალგია მოეძალება, სევდიანად ფიქრობს, როგორც ცხადისა და ილუზორულის ზღვარზე მყოფს ელანდება უძველესი სამშობლო-სამოთხე, აფხაზეთიც ნუთუ მოეჩვენა?!





1. ვინ იყვნენ ერთმანეთისთვის იესოს მოწაფეები: სიმონი და ანდრია? იაკობი და იოანე?

- ა) მეგობრები.
- ბ) ძმები.
- გ) ნათესავები.

2. ვინ არის ფილმ „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი?

- ა) სოლიკო ულენტი.
- ბ) ნიკოლოზ სანიშვილი.
- გ) ანზორ სალუქვაძე.

3. რომელ ქართველ მეფეზე შეიქმნა ლეგენდა (ლექსის სახით) იმის შესახებ, რომ, როცა მას ღვინო მოესურვებოდა, ღმერთი ყანწს მიაწოდებდა?

- ა) ვახტანგ გორგასალზე.
- ბ) დავით აღმაშენებელზე.
- გ) გიორგი ბრწყინვალეზე.

4. დასახელებული დიდი გერმანელი კომპოზიტორებიდან რომელი გარდაიცვალა 30 წლის ასაკში (შექმნილი ჰქონდა 1000-მდე ნაწარმოები)?

- ა) შუბერტი.
- ბ) შუმანი.
- გ) ბრამსი.

5. ვინ დაამკვიდრა სიცარიელის აღმნიშვნელი ციფრი – 0?

- ა) ინდოელმა მათემატიკოსებმა.
- ბ) არაბმა მათემატიკოსებმა.
- გ) ბერძენმა მათემატიკოსებმა.



6. 1863 წლის 10 აგვისტოს ილია ჭავჭავაძემ და ოლღა გურამიშვილმა თბილისის რომელ ტაძარში დაიწერეს ჯვარი?

- ა) სიონში.
- ბ) ქაშუეთში.
- გ) სამების ეკლესიაში (ახლანდელი გრიგოლ აბაშიძის ქუჩა).

7. როდის დაერქვა კონსტანტინოპოლს ოფიციალურად სტამბული?

- ა) 1730 წელს.
- ბ) 1830 წელს.
- გ) 1930 წელს.

8. „ბავშვი შოლტით“ რომელი ცნობილი იმპრესიონისტის ტილოა?

- ა) კლოდ მონესი.
- ბ) ედგარ დეგასი.
- გ) ოგიუსტ რენუარის.

9. პირველად რომელმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ახსნა მეცნიერულად, თუ რატომ არის დედამიწა მრგვალი?

- ა) პითაგორამ.
- ბ) არისტოტელემ.
- გ) თალესმა.

10. დაასრულე კონსტანტინე გამსახურდიას ფრაზა: „არავინ ისე მამაცურად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც ...“

- ა) სულელი.
- ბ) გულადი.
- გ) ჭკვიანი.



ცოდმბრული თავგანწირვით

უეხოჰედ ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება ისეთი მალანტროპიული ნაწარმოები, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოყენებული ახ იყოს ბუქძნური და რომაული მითოლოგიის ელემენტები.

საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ახგონავტების, თებესა და სჰოას ციყის თქმულებები, მითები და ლეგენდები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰომეროსის ჰომეებში გადმოცემული მითები მხოლოდ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფი ეგონათ. შიმიანის მიუხედავად სჰოას აღმოსაჩენად გადადგმულმა პიხველმა ნაბიჯებმა თხზულებებში აღწეილი ჰეაღობა სხვაგვარად ნაჩმოაჩინა.

აქვე ვაქვეყნებთ გეჰმანური მანდილოსნების სეისშემძხეღ ამბავს, მომხდახს XII საუკუნეში.

ჰენელოჰე და 20-წლიანი მოლოდინის ამბავი

ჰენელოჰე – ბერძნული მითოლოგიის პერსონაჰი, ჰომეროსის პოემა – „ოდისეის“ ერთ-ერთი გამორჩეული სახე; ის იყო ითაკას* მეფის – ოდისეესის მეუღლე, რომელიც ომში წასულ ქმარს 20 წელი ელოდებოდა.

ჰენელოჰე იკაროსისა (მან ათენელებს ღვინის დამზადება ასწავლა) და პერიბეას (მითიური ფერია) ქალიშვილია.

მისი სიღამაზით, ერთგულებით, დიდებულებითა და გონებით აღფრთოვანებული ჰომეროსი „ქალებს შორის ქალღმერთს“ უწოდებს პენელოჰეს.

უმშვენიერეს წყვილს – პენელოჰესა და ოდისეესს ქორწინებიდან წლისთავზე შეეძინათ ვაჰი – ტელემაქე. სწორედ მისი დაბადების შემდეგ მალევე ოდისეესი ტროას ომში წავიდა.

მეუღლესა და ოჯახზე შეყვარებულ ოდისეესს უმძიმდა ოჯახთან განშორება, მაგრამ შინ ვერ დარჩებოდა, მტრისთვის პასუხი უნდა გაეცა. თუმცა ტროას ბრძოლების შემდეგ ის 20 წლის მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა (რადგანაც სამშობლოში უკან დაბრუნებისას ღმერთებმა გზად უამრავი განსაცდელი მოუვლინეს).

პენელოჰეს გარდა ოდისეესის დაბრუნების იმედი არავის ჰქონდა. მხოლოდ მას სჯეროდა, რომ მეუღლე ცოცხალი იყო და დაბრუნდებოდა.

დრო გადიოდა და ტელემაქეც იზრდებოდა. პენელოჰემ კი თავისი სათნოებითა და კეთილშობილებით ყველას თავი შეაყვარა. გამორჩეული გვარისა და ტიტულის რაინდები, ითაკას სამეფო სასახლეში რომ სტუმრობდნენ, პენელოჰეს ცოლობას სთხოვდნენ.

დედოფალი სასტიკ უარზე იყო. მაგრამ დადგა დრო, როცა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მას რომელიმე საქმროზე არჩევანი მაინც უნდა გაეკეთებინა.

სწორედ მაშინ მოიფიქრა პენელოჰემ აბეზარი მამაკაცების თავიდან მოსაშორებელი ხრიკი. და საქმროებს ასე მიმართა:

– ჩემს მეუღლეს, ოდისეესს, პირობა მივეცი, რომ მამამისს ღირსეულად დავასაფლავებდი: ერთ-ერთ თქვენგანზე არჩევანს მხოლოდ მას შემდეგ გააკეთებ, როცა ჩემი მამამთილის, ლაერტის ცხედარზე გადასაფარებელი სუღარის ქსოვას დავასრულებ.



პენელოჰე აბეზარი სასიძოების გარემოცვაში

შეუღბა კიდევ ქსოვას; მაგრამ დღისით მოქსოვილს პენელოჰე დამით არღვევდა და ამ საქმიანობას დასასრულიც არ უჩანდა. ასე გაგრძელდა 3 წელიწადი, ვიდრე მოსამსახურემ არ წაასწრო და არ დააბეზდა ქალბატონი. ეშმაკობა გაცხადდა.

გამოსავალი არ იყო – საქმრო უნდა აერჩია. ამჯერად ოდისეესის მეუღლემ ახალი ოინი მოიფიქრა.

პენელოჰემ გამოაცხადა, რომ ცოლად გაჰყვებოდა მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც მოზიდავდა ოდისეესის ნაქონ მშვილდს და გასროლილ ისარს თორმეტ ცულში გაატარებდა (იმის იმედად, რომ ამას ვერავინ შესძლებდა).



სასახლეში ახალგაზრდა და მოხდენილი რაინდების რიგი დადგა, მაგრამ მშვილდ-ისრის მოზიდვა, მართლაც, ვერავინ შესძლო.

სწორედ ასპარეზობისათვის დანიშნულ დღეს შემოაბიჯა ოდისევსმა სახლში და სასიძოვბსაც დაერია, ყველანი ამოხოცა.

თავიდან ოდისევსის ამოცნობა ვერავინ შეძლო; მათ შორის, ვერც პენელოპემ.

შინ რომ მშვიდობით დაბრუნებულიყო, ერთ-ერთი მფარველი ღმერთისგან ოდისევსმა მოხუცის იერსახე მიიღო. ძველებური გარეგნობა მაშინვე დაუბრუნდა, როგორც კი მოზიდა და გასტყორცნა მშვილდი.

პენელოპე მაინც ეჭვობდა, ოდისევსის ნაცვლად რომელიმე ღმერთმა ხომ არ მიიღო ჩემი ქმრის იერსახეო.

და გამოცდა მასაც მოუწყო:

მოსამსახურეს უბრძანა, გამოეტანა საქორწინო სარეცელი.

ოდისევსი ამას არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ ზეთისხილის ხისგან დამზადებულ საწოლს მასზე ადრე არავინ უნდა შეხებოდა.

ამჯერად პენელოპე დარწმუნდა, რომ მის წინაშე მდგარი მამაკაცი ნამდვილად ოდისევსი იყო.

ასე დასრულდა პენელოპეს სიყვარულისა და 20-წლიანი მოლოდინის ამბავი.

ეს ისტორია მოთხრობილია ჰომეროსის პოემა „ოდისეაში“.

პენელოპესა და ოდისევსის შეხვედრისა და ამოცნობის სცენა ერთ-ერთი ულამაზესი ეპიზოდია ამ პოეტურ ქმნილებაში.

P.S. გვიანი ხანის მითები პენელოპეს შესახებ განსხვავებულ თავგადასავალს გვიამბობენ; თუმცა ბერძნულ ტრადიციაშიც და მომდევნო ეპოქებშიც პენელოპე ცოლქმრული ერთგულებისა და კდემამოსილების სიმბოლოდ მიიჩნევა.



პენელოპესა და ოდისევსის შეხვედრა

რბიერული ცოლქმრული ეპიკური პოემის იმპროვიზაცია

ეს ამბავი მოხდა 1140 წლის 21 დეკემბერს.

რომის იმპერატორმა კონრად III-ემ ალფა შემოარტყა გერმანიის პატარა ქალაქ ვეინსბერგს.

მისი დაპყრობის შემდეგ იმპერატორმა ქალაქის მთაზე აგებულ უძველეს ციხე-სიმაგრეში შეხიზნულ ქალებს ქალაქიდან თავისუფლად გასვლის ნება დართო; დაპირდა, რომ ცოცხალი დერეფნით მათ უსაფრთხოებასაც დაიცავდა. ამასთან, უფლება მისცა მანდილოსნებს, დაცემული ქალაქიდან გაეტანათ ყველაფერი, რასაც მოერეოდნენ, ზურგით რის წადებასაც შესძლებდნენ.

იმპერატორი, რა თქმა უნდა, ვარაუდობდა, რომ დამარცხებულები და, აწ უკვე დევნილები, თან გაიყოლებდნენ ოქრო-ვერცხლს, ანუ მხოლოდ მატერიალურად ფასეულ ნივთებს.

მაგრამ ის, რაც მოჰყვა იმპერატორის ბრძანებას, იყო სრულიად მოულოდნელი და გამაოგნებელი.

მანდილოსნებმა ზურგზე მოიკიდეს ბრძოლაში დაჭრილი და გარდაცვლილი მეუღლეები, რითაც ისინი ტყვეობისა და სიკვდილისაგან იხსნეს.

კონრად III-ემ იმპერატორის სიტყვა არ გატეხა და ქალბატონების ღირსეული საქციელით აღფრთოვანებულმა თავისი ჯარისკაცების ცოცხალ კორიდორში გაატარა საოცარი „ტვირთით“ დამძიმებული მეუღლეები.

ამ მანდილოსნებს ისტორიამ სამართლიანად „ერთგული ცოლები“ უწოდა.

იმ პატარა ქალაქის – ვეინსბერგის გორაკზე აგებული უძველესი ციხე-სიმაგრის სახელწოდებაც, სადაც თავი შეაფარეს მებრძოლთა ცოლებმა, სწორედ მათ სახელს უკავშირდება.



ბრძოლის შემდეგ კონრად III ხვდება ვეინსბერგის ციხე-სიმაგრეში შეხიზნულ ქალებს. გერმანული ნახატი



ზურაბ სოჭილაძე - 80



ნიკოლაი კონსტანტინიდი

ესი ცნობილი სიმღერის ავტორი ინტენსიურად, «სოხუმი იყო ერთიანობა». იმის, სწორედ ამ უკეთესობის ერთიანობებზე იდგა სოხუმი - მეგობრობის, სიყვარულის, დანდობის ქალაქი. ასეთ სოხუმსა და სოხუმელებზე, სხვადასხვა ეპოქებისა და პირობების ადამიანებზე გვიყვება ქალაქის მკვიდრი, ომის შემდეგ საბეჭდო მცხოვრები, ეპოქებით ბეჭდები - ნიკოლაი კონსტანტინიდი, ხმლის წიგნი «სოხუმი-ქალაქის ქვეყანა» (Страна Сухумия) 2007 წელს გამოიცა ათენში.

წიგნის ერთ-ერთ ქვეთავში ავტორი გვიამბობს თავის ბავშვობისდროინდელ მეგობარზე, სახელად სოხუმელებზე, მსოფლიოში აღიარებულ დამატურ ტენიზზე, ზურაბ სოჭილაძეზე. თხრობა იწყება გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან, ვიღაც აფხაზეთში ომის დანებებამდე. გაცოცხლებულია ისეთი ეპიზოდები, რომელიც ამ მეგობრობამ შემოინახა.

მეგობრებისთვის საინტერესოა ახა აფხაზისა ან ქართველის, ახამედ მესამე, სხვა ეპოქების ქაყის თვლით დანახული სოხუმი, ასე გულისხმობს, ქართული.

წიგნი, რომელიც ქართულად თარგმნა (ავტორთან შეთანხმებით) შესანიშნავმა ჰოტელმა და მოთხრობმა სეზომ ნიკოლაი და ხმლის ფიზიკურსაც ახლა გთავაზობთ, უახლოეს მომავალში იხილავს ქართველი მეგობრები.

აქვე დავანახებთ: «იქნის» შემდეგ ნომერი დაიბეჭდება ნიკოლაი კონსტანტინიდის ერთი მოგონება ცნობილ აფხაზეზე, საზოგადო მოღვაწესა და გასული საუკუნის 60-იანი წლებში აფხაზეთის საოქროს უმცირესი პიკეტი მღვანეზე, მიხეილ ბლავატსკიზე.

სოხუმის „კალიანტიდან“ თეატრ „ლა სკალამდე“

ნიკოლაი კონსტანტინიდი
თარგმნა სერბი უმრავლესად

ამ პირველი სიმღერით - "დაე, აღაპარაკონ"

ზურაბ სოჭილაძემ და მე ერთმანეთი 1946 წელს გავიცანით. მაშინ ის 9 წლის იყო, მე - 12-ისა. ერთმანეთს შევხვდით სოხუმის „კალიანტი“ უბანში, აქ მცხოვრებ ბიჭუნებს რომ გვაერთიანებდა. ამ მინდორზე ჩვენ დიდი დანაშაულებამდე ფეხბურთს ვთამაშობდით. მოგვიანებით, 1953 წელს, „კალიანტი“ აშენდა აფხაზეთის მთავრობის სახლის ორი ფლიგელი, მიმდებარე შესანიშნავი მოედნითა და პარკით, რომელიც ლენინის სახელს ატარებდა და სადაც საბჭოთა პერიოდში სადღესასწაულო დემონსტრაციები იმართებოდა.

ზურაბ სოჭილაძე ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო. ფეხბურთს ბრწყინვალედ თამაშობდა. მოვლენებს დავასწრებ და ვიტყვი, რომ 50-იანი წლების ბოლოს იგი თბილისის „დინამოშიც“ კი მივიწვიეს.

მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ შორის იმთავითვე დამყარდა მეტად თბილი, მეგობრული ურთიერთობა. მასწავლებელს, ვახტანგ ბერულავას, ჩვენი სკოლის ფეხბურთის კაპიტანს, ზურაბის მცირეწლოვნობის გამო მისი გუნდში ჩარიცხვა არ უნდოდა, მაგრამ ჩემი დაჟინებით აიყვანა და მანაც გაამართლა.

გადიოდა დრო. ჩვენ შედგურება დაიწყო და ურთიერთობებიც მტკიცე მეგობრობაში გადაგვიზარდა. ზურაბის მეგობრობისგან არავინ ვიცოდი მისი ბრწყინვალე ვოკალური მონაცემების შესახებ.

ერთხელ ის ჩემთან შინ მივიწვიე. მამა სახლში დაგვხვდა, რაც მისი სამსახურობრივი მოუცვლადობის გამო ასე იშვიათი იყო. თანაც, ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა. სადილზეც დაგვიწვია, შემდეგ კი ფორტეპიანოს მიუჯდა (მამას სასიამოვნო ტენორი ჰქონდა) და დაიწყო თავისი საყვარელი ძველებური რუსული და ბოშური რომანსების შესრულება: „დამიბრუნდი, გვევადრები“, „თვლემენ მოტირალი ტირიფები“, „შენ ბუხართან ზიხარ“...

სიმღერას რომ მოუსმინა, ზურაბმა მოკრძალებით იკითხა, შეიძლება, მეც ვიმღერო? მამამ სიხარულით დაუთმო ადგილი ინსტრუმენტთან. ზურაბი დაჯდა, კლავიშებზე თითები აათამაშა და ამღერდა. ეს იყო ბოშური რომანსი „ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, დაე ილაპარაკონ“. მე და მამა სახტად დავრჩით. ასეთი მძლავრი და ლამაზი ხმის მოსმენის საშუალება აქამდე არასოდეს მოგვცემია. მამამ ზურაბს ურჩია, სოხუმის სამუსიკო სასწავლებელში შესულიყო, რაც მან გააკეთა კიდევ.



ნიკოლაი კონსტანტინიდის წიგნი „სოხუმი-ქალაქის ქვეყანა“



15 წლის ბიჭუნა და ჯადოსნური "რიგოლეტო"

ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მე ძალზე გატაცებული ვიყავი მუსიკით. ამბობდნენ, რომ აბსოლუტური სმენა გამაჩნდა. ჩვენ, ომის ბავშვები, სამხედრო-პატრიოტულ ფილმებსა და სიმღერებზე ვიზრდებოდით. და აი, ჩვენი ქალაქის კინოეკრანებზე, ე. წ. „ТРОФЕЙНЫЕ“ (ნაალაფარი) მუსიკალური ფილმები გამოჩნდა. ამ კინოსურათებმა ჩვენი ცნობიერების სრული ტრანსფორმირება გამოიწვია, გადაგვიყვანა სიკეთის, სილამაზისა და მაღალი ხელოვნების სრულიად განსხვავებულ სამყაროში.



ზურაბ სოტკილავა.
XX ს.-ის 50-იანი წლები.
ქ. სოხუმი

ცოტა მოგვიანებით მეც შევიძინე მაგნიტოფონი საოპერო არიებისა და „ნეაპოლური სიმღერების“ ჩანაწერებით, ისეთი დიდებული მომღერლების შესრულებით, როგორებიც იყვნენ ენრიკო კარუზო, ბენიამინო ჯილი, ჯინო ბეკი, ტიტო გობი, მარიო დელ მონაკო... ზურაბს შეეძლო, საათობით ესმინა მათთვის. მე, არცთუ იშვიათად, ვაცნობდი მას ლიბრეტოებს* და ვუმღეროდი არიებსაც, რომელთა შესახებ ზურაბმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. ეს ყველაფერი კი ძალიან აინტერესებდა. სოხუმში ოპერის თეატრი არ იყო და ზურაბს არ შეეძლო, სცენიდან მოესმინა საოპერო მომღერლებისთვის.

1951 წელს, ჩვენდა გასახარად (ზურაბი მაშინ 15 წლის იყო), სოხუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ერთ საღამოს ვსეირნობდით ზღვის სანაპიროზე. ზურაბს ვუთხარი, დღეს „რიგოლეტო“ მიდის, ცუდი არ იქნება, დავსწრებოდით. ბილეთის ფული არა გვაქვს, მაგრამ თეატრში მამაჩემი მოვქებნოთ და ის შეგვიყვანს. გავიქეცი თეატრისკენ. სპექტაკლი დაწყებული იყო და ჩვენ პირველი აქტის დასრულებას დაველოდეთ.

დარბაზში შესულები დაგვაბნია ოპერის თაყვანისმცემელთა სიმრავლემ. ადრე არასოდეს დავსწრებივართ ამ სახის წარმოდგენას. აიწია ფარდა. დაიწყო მეორე მოქმედება. ჯუზეპე ვერდის მუსიკამ და მსახიობთა სიმღერამ მოგვაჯადოვა.

რიგოლეტოს არიამ – „კურტიზანებო, ცოდვით შობილნო, ფული აიღეთ ჩემ შესარცხვენად?“ – განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ზურაბზე. დიდხანს იყო გაბრუნებული. შეიძლება ითქვას, რომ ოპერა „რიგოლეტოში“ მთლიანად შემოაბრუნა მისი ცხოვრება. ამ დღიდან მტკიცედ გადაწყვიტა, სერიოზულად მოეკიდა ხელი მუსიკისთვის და საოპერო მომღერალი გამხდარიყო.

ყმაწვილური ოცნება ყაფრის ყიჩობე

სკოლის დასრულების შემდეგ ზურაბი, დედის დაჟინებული თხოვნით, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შედის. მაგრამ არ ავიწყდება, რისთვისაც მოწოდებულია, რომ სიმღერა მისთვის ყველაფერია, არდადეგების დროს დაესხდებოდა სასეირნო კატერზე, მოგვაკალათდებოდათ კინოზე და ვმღეროდით ყველაფერს, რაც სულს მოგვუნებებოდა, იქნებოდა ეს არიები ოპერებიდან, რომანსები თუ ქართული სიმღერები.

ერთხელ, ზღვაზე ასეთი გასეირნების დროს ზურაბი მეუბნება, იცი, არ მეპიტნავენა პოლიტექნიკურში სწავლა, მისი დამთავრების შემდეგ აუცილებლად ჩავაბარებ კონსერვატორიაში.

მე ხუმრობით ვპასუხობ:

– წარმოგიდგენია, ზურაბ, დაასრულე კონსერვატორიას, გახდები ცნობილი პიროვნება და დიდ თეატრში იმღერებ. მერე მე ჩამოვალ მოსკოვში შენს მოსასმენად. გესტუმრები თეატრში და ვითხოვ შენთან აუდიენციას, შენი იმპრესარიო კი მკითხავს, ვინ ბრძანდებით? მე დაუუსახელებ ჩემს ვინაობას და ვეტყვი, რომ მსახიობის ბავშვობის მეგობარი ვარ და ძალიან მინდა მისი ნახვა. პასუხად მეტყვიან, რომ ბატონი სოტკილავა არ გიცნობთ და არც უნდა თქვენი ცნობა.

ზურაბი იცინის და ამბობს:

– ღმერთმა ქნას, ისეთი მომღერალი ვაგხდე, როგორადაც შენ ახლა წარმომიდგინე. დავიწყებთ კი... დავივიწყო ბავშვობის მეგობარი? ან ის რომ, შენ იყავი ჩემი პირველი მოძღვარი? ეს არასდროს მოხდება!


როცა ზურაბი სახელგანთქმული მომღერალი გახდა, თავისი ფოტო მაჩუქა წარწერით: „ნიკოლაი კონსტანტინიდს, ჩემს პირველ მოძღვარსა და განმანათლებელს – განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად“.

მასხენდება ერთი შემთხვევა. ეს იყო 1953 წელს. მე



ზურაბ სოტკილავა (მარჯვნიდან პირველი).
თბილისის „დინამო“

* – მუსიკალურ-სცენური თხზულების სრული სიტყვიერი ტექსტი.



ზურაბ სოტკილავა – ფეხბურთელი

ჩემი ამხანაგი – იური უსტაბაშიძე. იმ „ავადსახსენებელ დღეს“ მოსკოვის „დინამოს“ ვმასპინძლობდით. მარჯვენა ფლანგზე მოსკოველებს ჰყავდათ ძალზე ჩქარი თავდამსხმელი გენადი ურინი (მასზე ამბობდნენ, 100-მეტრიან დისტანციას 10 წამში ფარავს). პირველი ტაიმი დასრულდა მოსკოველთა სასარგებლოდ, ანგარიშით – 2:0 (ორივე გოლი ურინმა გაგვიტანა). უსტაბაშიძე ვერაფრით ახერხებდა მასთან გამკლავებას. ურინის გაჩერება თითქმის შეუძლებელი იყო. შესვენებისას ჩვენი გუნდის მწვრთნელმა მე და უსტაბაშიძეს პოზიციები შეგვინაცვლა და ახლა მე უნდა დავპირისპირებოდი ურინს. მაგრამ მეც ვერაფერი მოვუხერხე მას. იგი თავისი სურვილისამებრ მახზრიალებდა. მეორე ტაიმში საკუთარ კარში კიდევ ორი უპასუხო გოლი მივიღეთ (ამჯერადაც ურინმა იყოჩაღა) და ასე დამარცხებულვით დავტოვეთ მოედანი. ამ თამაშის შემდეგ გადავწყვიტე, ფეხბურთი მიმეტოვებინა და მთლიანად სიმღერისთვის მიმეძღვნა თავი.

ამიტომაც ვამბობ ყოველთვის, რომ არა ურინი, ალბათ, გავაგრძელებდი ფეხბურთის თამაშს და, საეჭვოა, ვოკალის ხელოვნებაში მიმეღწია ასეთი წარმატებებისათვის.

ვირწყობი "გაღსეი"

80-იანი წლების დასაწყისში წილად მხვდა ბედნიერება, დიდ თეატრში დავსწრებოდი ჯუზეპე ვერდის სპექტაკლს „ოტელო“. იმ დროისათვის „ოტელო“ დიდ თეატრში ორი შემადგენლობით იდგმებოდა. ერთში – ვლადიმირ ატლანტოვი და თამარა მილაშკინა მღეროდნენ, მეორეში – ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი.

მე დავესწარი სპექტაკლს ზურაბის მონაწილეობით. სპექტაკლი, ბუნებრივია, ტრიუმფით დასრულდა და დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრეებზე. უკვე შინ მისვლის შემდეგ ზურაბმა მითხრა:



ზურაბ სოტკილავა – მომღერალი

– ოტელოს პარტია იმდენად მძიმეა შესასრულებლად, რომ სპექტაკლის შემდეგ, სულ ცოტა, ორი დღე მაინც ვწევარ ლოგინში და არავისთან ლაპარაკის თავი არ მაქვს.

იქვე დაამატა, რომ მთელი ამ ოპერის განმავლობაში მომღერალი იმდენად დაძაბულია, აქ მაღალი ნოტების ისეთი დიაპაზონია, რომ ეს შესაბამისად აისახება კიდევ შემსრულებლის ხმასა და გულის მუშაობაზე. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მრავალი საოპერო თეატრის რეპერტუარში „ოტელო“ იშვიათად შეაქვთ.

1982 წლის ნოემბერში, შეგებულებაში ყოფნისას, რიგაში ჩავედი. ეს ქალაქი ყოველთვის მომწონდა. ევროპის ქვეყნებში რომ ვერ ვმოგზაურობდით, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გეჰქონდა შესაძლებლობა, მოგვევლო ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, თავისი კულტურის დონით, ტემპერამენტითა და მეტალობით უფრო მეტად ჩრდილოევროპულ ქვეყნებს რომ ჩამოჰგავდა. ეს მკვეთრად განასხვავებდა მათ ჩვენგან – სამხრეთელებისგან.

და აი, რიგაში სეირნობის დროს წავაწყდი უზარმაზარ აფიშას: „რიგის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება სპექტაკლები სსრკ სახალხო არტისტის, ზურაბ სოტკილავას მონაწილეობით. 20 ნოემბერი –



პუჩინის ოპერა „ტოსკა“, 24 ნოემბერი – ბიზეს ოპერა „კარმენ“.

ტელეფონით დაუკავშირდი თეატრის ადმინისტრაციას, რათა შემეტყო, რომელ სასტუმროში გაჩერდებოდა სოტკილავა. მიპასუხეს, რომ ის ჯერ არ არის ქალაქში, მაგრამ 18 ნოემბერს დაბინავდება სასტუმრო „რიგაში“.

ზურაბის ჩამოსვლის დღეს გავედი სადგურში. მის დასახვედრად მოსულნი იყვნენ ლატვიის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, თეატრის ხელმძღვანელობა და მისი ტალანტის თაყვანისმცემლები. ხელში ყველას ყვავილები ეჭირა. მატარებელი ჩამოდგა. მომდინარე ზურაბი გადმოვიდა მატარებლიდან. საოპერო ხელოვნების მოყვარულებმა ის უმაღლესადაა მოაქციეს, გადასცეს თაიგულები, ჩაიკრეს გულში.

მე მოშორებით ვიდექი. ის ვერ მხედავდა. და უცებ დაფუძახე: – „გალსკი!“ (ეს მისი ბავშვობისდროინდელი თიკუნი იყო, რადგან მამა წარმოშობით გალიდან ჰყავდა).

მან ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, ჯერ იფიქრა, მომეყურაო. მე ხელახლა დაფუძახე „გალსკი“. ახლა კი შემამჩნია და ჩემსკენ გამოქანდა.

ორივე სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ სოტკილავას მიერ არიების ვირტუოზული შესრულებით. ყოველ მის ნამღერს მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ. განსაკუთრებით, დამამახსოვრდა ფინალური სცენა ოპერა „კარმენიდან“, სადაც აბობოქრებული ხოზე ველური ეჭვიანობით შეპყრობილი კლავს კარმენს. თამაში იმდენად ჰგავდა რეალურს, ხანდახან გეჩვენებოდა, სცენაზე ნამდვილი ადამიანური ტრაგედია ტრიალებსო.



მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა. დიდი თეატრი.

„გევედრებით, აფხაზეთში მშვიდობა შეინარჩუნეთ!“

1992 წლის ივნისში, აფხაზეთში ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, ზურაბ სოტკილავა უკანასკნელად ჩამოვიდა თავის მშობლიურ ქალაქში.* სოხუმის ფილარმონიის დარბაზში შეიკრიბნენ მისი ტალანტის თაყვანისმცემლები. იყვნენ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებიც. ამ დროს მე სოხუმში არ ვიყავი (საბერძნეთში ვმოგზაურობდი).

კონცერტს ესწრებოდა ჩემი ცოლი, რომელმაც მიაპბო:

– ფილარმონიის დარბაზი გადაჭედილი იყო. სცენაზე ყველა სოტკილავას გამოსვლას ელოდებოდა. და აი, კონცერტმისტრის თანხლებით გამოჩნდა მომდინარე ზურაბი. სანამ სიმღერას დაიწყებდა, მიესალმა დარბაზში მყოფ სოხუმელებს, უსურვა მათ სიკეთე და ბედნიერება. იმ დღეს მსახიობმა აირჩია კონცერტის წარმართვის განსხვავებული ფორმა: თითოეულ სიმღერას ზურაბი რომელიმე თავის თანაქალაქელს უძღვნიდა (კონცერტიც თავად მოჰყავდა). ესენი იყვნენ მისი ბავშვობის, სიჭაბუკის მეგობრები, ზოგიც ხელოვანი და ზოგიც სპორტსმენი. ერთ-ერთი ნომრის გამოცხადების დროს მან თქვა: ამ არიას უძღვნი ჩემს მეგობარს, ძვირფას ნიკოლაი კონსტანტინიდს (და შეასრულა ხოზე არია ოპერა „კარმენიდან“).

პროგრამის ბოლოს ზურაბმა მაყურებლებს ასე მიმართა:

– ჩემო ძვირფასო მეგობრებო! მოგმართავთ სოხუმელებს, თითოეულ ჩემს თანაქალაქელს. მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ! ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი, ჩემი მეგობრები. მუხლს ვიყრი თქვენს წინაშე და გვედრებით, შეეცადეთ, როგორმე აფხაზეთში მშვიდობა შეინარჩუნოთ!

მშვიდობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ორი თვის შემდეგ აფხაზეთში ომი დაიწყო.

1992 წლის ოქტომბერში მე და ზურაბი მოსკოვში შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. მე მას ოჯახში ვეწვიე (ზურაბს ძალიან კარგი ოჯახი ჰყავს; შესანიშნავი მეუღლე – ელისო თურმანიძე, პროფესიით – პიანისტი, ელევანტური, მშვენიერი ქალბატონი, და ორი ზრდასრული ქალიშვილი) და მეორე დღეს სამუდამოდ გავემგზავრე საბერძნეთში.

P.S. ერთხელ, უკვე ათენში ყოფნისას, ვტყუბოდი ღონღონიდან გადმოცემული სატელევიზიო ენციკლიკით. მასში მსოფლიო ხმები - ლუჩანო ჰავაიოტი, ჰლარიდო დომინგო და ხოსე კახიხასი მონაწილეობდნენ. ჰიოგამის წამყვანმა ემონტაჟისტის მიმართა გვეხდით მყოფ ზუხაბ სოტკილავას:

- ბატონო ზუხაბ, ახლახან ჰლარიდო დომინგომ ინტეხვი მისცა ერთ-ერთი უცხოური გაზეთის კოლუმონდენტს.

კოლუმონდენტმა ჰკითხა, ხომ ახ ფიქრობენ ისინი თავიანთი შემადგენლობის შევსებას ხომელივ მომლუხდით.

დომინგომ მიუგო, ხომ მათ ეს ახ სჭიხებათ; მაგამ, თუ ვინმე მაინც იმსახუებს ასეთ ჰაკივს, ეს კახთველი მომლუხადი - ზუხაბ სოტკილავაა. ხოგოი ემონტაჟის გაუკეთებდით დომინგოს ამ სიყვებს?

ზუხაბმა მოკიხალებით გაილიმა და თქვა:

- ეს მომლუხები იმდენად დიდი ხელოვანები და ჰიოფესიონალები ახიან, ხომ ვეჭვობ, ვინმეს "დახმახება" ესაჭიროებოდეთ.

პიოხონელი ხიბლითაც გამოიჩინა დიდი ხელოვანი - ზუხაბ სოტკილავა.

* - პირველი კონცერტი სოხუმში მან 1975 წელს ჩაატარა.



ცნობილი პუბლიცისტი, პოეტისა და მთარგმნელის, აკაკი წერეთლის პეიზაჟის დახატვის - ნინო ქუთათელაძის სტიქონი, სწიხად თვისობრივად ახაოხინდალეხი, დიდ სათქმელს მონყვეტილი ფიქივითაა. ავტოიი მახთარი განცდის თანაავტოხად გხდის და ეს ხან დედის, ხან კაძიხის, ხან ყვავილისა და ხანაც სამშობოლს სახებაა: «შენ სიცოცხლეზე ჩამოვეთ თავი» (დედას); «მე ახლა ისე მახტო ვახ, ღმერთო, ხომ გაოხება ალახი მაშინებს»; «ენგუხის გაღმა და გამოღმა დახჩა ქვეყანა... ვინ მოუზომა მეხცხაღს მეხცხდის გადასაფეხნი»; «წინ საქახთვეღოს გაზაფხუდისკენ - გავეთიანდეთ»...



ნინო ქუთათელაძე



აღექსანდრე ბლოკს

მე ვიცი, გცივა,
რადგან მღერი და მღერი,
ამღერებულებს მუღამ სცივათ
დანაკარგისგან...
ვიცი და მჯერა,
რომ შენს გაზაფხულს
შემოდგომის ყვითელი ლანჩა
ატყვია მხარზე,
რა ვუყოთ მერე, თუ არ სრულდება
ყველა ოცნება,
ის ხომ იმიტომ მოიგონეს ამ ქვეყანაზე,
რომ არ ასრულდეს!



თქვენთან მოვდივარ

თქვენთან მოვდივარ, ქართლის ველებო,
უფრო და უფრო თქვენთან მოვდივარ!
იკორთაში ვარ, როგორც სიბერე,
გორის ციხეზე, როგორც ტირილი,
მტკვრის და არაგვის შესართავთან
სიმარტოვე ვარ,
უფლისციხეში - ჭაბუკი მეფე,
ატენში უფრო სიხარული ვარ
მძლე და მძინარი,
სვეტიცხოველზე - ბავშვის თვალები,
ჯვარზე - სიმღერა
კრძალვის, ტკივილის...
ვიცი, ვიყავი,
ერთხელ ვიყავი -
ღამეც, ტირილიც და სიმარტოვეც,
ღიმილიც, სევდაც...
ახლა?
უფრო და უფრო თქვენთან მოვდივარ,
თქვენთან მოვდივარ, ქართლის ველებო!





ლეონტი ყიფიანი

"წეხა-ჯიოსხვის გამავიწყებელი საზოგადოებით" გაუვიწყრებდა სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე და მით მიუცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიხოესი ნივთი, უჩინოსოდვე საგვარჯიშო და თვითმოქმედი ცხოვრება და ნახიდაცა შეუძლებელია", - ბიძანებდა დიდი ილია.

"ამისთანა მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერ არ დაბადებულა", - თვლიდა სამართლიანად იაკობ გოგებაშვილი.

გასული საუკუნის უხეცესმა პედაგოგმა, ქალბატონმა ვახო ვახიანიძემ მას საქართველოს ახალგაზრდი პატივმედი უწოდა.



ბიოლოგი ღობელაძე

ვიდრე ეს საზოგადოება ოფიციალურად გაფორმდებოდა, 1878 წლის 20 იანვარს, დამფუძნებელი ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ ქონსტანტინე მამაცაშვილის (იუსტისის ახლოს გენერალი, ქართველი რიტეხატოლი, საზოგადო მოღვაწე) სახლში.

დიმიტრი ყიფიანმა (შემდგომში ამ საზოგადოების პირველი თავმჯდომარე) დასწრე საზოგადოებას გადასწავლა წესების პირობები.

იმ დღეს გიორგი მხებერაძის ინიციატივით საზოგადოებას "ქართველთა შორის წეხა-ჯიოსხვის გამავიწყებელი საზოგადოება" ეწოდა.

1879 წლის 15 მაისს შედგა ამ ახლადდაარსებული საზოგადოების პირველი კრება. "წეხა-ჯიოსხვის გამავიწყებელი საზოგადოებაში" გაერთიანდა 18 წევრი.

ზაფხული იქცა.* იმ დღეს ვახის სუბიექტით გაიღვიძა პაოლო. გამოეწყო. ამ დროს დაპირებულმა მეუღლემ სახლის წინ ეფრანი აახმარა. პაოლო ელის გვერდით მიუჯდა და ბაგატის კაძიდან დაბლა, ხილისკენ დაეშენა. ხომონს ხილის ყუთთან, საყვავილესთან გარეხდნენ. მეგობრებმა მინდვრის ცისფერი ყვავილების თიგული დაახვედრეს.

ეკლის ყოფილ და აღვი-ავშახის** გაყოლებაზე ცისფერი აბრეშუმის ზონახი შემოვედით. იმ დღეს მიემგზავნებოდა თბილისში "ცისფერყვანელთა" ცისფერი ექსპედიციის - ელი და იქიდან განჯისკენ აიღებდა გზას.

პაოლო ეკლიდან ჩამოვიდა. ცხენი გამოეშვა და, ყველასგან მოულოდნელად, თვითონ შეება ეკლში, სადაც თამარის სახლის მდებარე მოკრედი ცისფერი ყვავილებს იბნევდა ცისფერმანდილშემოხვეული ელი.

სანამ ხომონ-ქეთარის ხინიგზის სადგურის გზას დადგებოდა, ქალბატონი გასასვლელი ყველა ქრის პაოლოშემებრდა ეკლმა შემოატახა; შემდეგ პაოლომ ცხენი ისევ ეკლს შეება, ელიმ კი ქეთარის ნივთსგან ატაცებული ყვავილების ნაფეხთალები*** გაიყოლა თან.

პაოლო იაშვილმა ერთხელ პუბლიკას მეგობარი ქალის - ელენე დანიანის რეკლამები წაუკითხა. ახლებული თუ ახალგაზრდი ავტორის ემოციური რეკლამები უმეტესობამ ამოხალხად მოწონდა, ზოგმა კი დიდად მოიწონა. ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ავტორი.

ელენე დანიანს, პაოლო იაშვილის პოეტური მუზას, დღემდე ბევრი ქართველი მწერლის ფანტაზიად თვლის, სხვები კი მას ხელის პიროვნებად აღიქვამენ.



ელენე ბაქრაძე

პაოლო იაშვილს მართლაც ჰყავდა მეგობარი ელენე ბაქრაძე, იგივე ელენე დანიანი, იგივე ელი (პაოლო იაშვილის აქტივში ინახება ახალგაზრდა ავტორის, ელისადმი გაგზავნილი).

"დანიანელი რეკლამები მე მეუთვნოდა. სახელსა და გვარს კი იმიტომ ვნიღბავდი, რომ არ მინდოდა, ამას საზოგადოებაში დიდი აფიოტაფი გამოეწვია", - ვკითხულობთ ელენე ბაქრაძის წერილში.

ხომონც ცნობილია, პაოლო იაშვილი ელენე დანიანის სახელითაც წეხა რეკლამებს.



პაოლო იაშვილი

* – ფრაგმენტი თამარ გრიგოლიას წიგნიდან “ასე უფარდათ უწინ”. 2011წ.
** – ავტორი - შინ დამზადებული ადგილი.
*** – ნაფლეტი, ნაგლეჯი.



ქეთევან ბაიაშვილი

მრავალმიანობით ცნობილი ჩვენი ქვეყანა მდიდარია ხალხური საჩხავეებითაც. შემთხვევითი ახა, რომ თბილისის ძველ უბანში თბილისელებსა და ედაქალაქის სტუმრებს, წებია, მასპინძლობს ქართული ხალხური საჩხავეების სახელმწიფო მუზეუმი.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყახზე მდებარე საქართველომ გაითავისა მუზობელი ქვეყნების ხალხური საჩხავეებიც. ამიტომ მუზეუმში ქართლის გახდა ახის აღმოსავლური და ევროპული დახბაზებიც.

დამთვარიეხებელი მუზეუმში მოისმენს იშვიათ ფოლკლოხეჩ ჩანანეხებს, გაეცნობა აზიისა და ევროპის უძველეს ხალხე საჩხავეებს, რომელთაც ახეთი ეეენდა თუ თქმეება უკავშირდება. ასე მაგალითად, მუზეუმში ინახება ივანე ჯავახიშვილის მიეი ახეოლოგიური გათხეებისას ნაპოვნი საღამეის ასლი, ეედის ძვიისგან დამზადებული (თახილდება ჩვ.ძ.აღ-მდე); ეიდ საჩხავეებს შოხის ეთადეთი მეტალის საჩხავი - სვანეი ბუეი (საყვიი); ოღლა გუხამიშვილის მამის - თადეოზ გუხამიშვილის ნაქონი დასახყყამი ეუხამიეული საჩხავი - ეიკიპიკო; ახადი ეუვანიშვილის მექანიეუ საჩხავთა (ევროპული) სეული ეოლეყცია (XIX ს.-ის შუა წებიდან ბოლომდე); ედისონის მიეი 1877 წელს შექმნილი ეთ-ეთი ფონოგრაფი (პიეული ხმის ჩამნეი აპახეტი)...

ქართული ხალხური სიმლეისა და საჩხავეების სახელმწიფო მუზეუმის უფოხი მეყნიე-თანამშომელი, ეთნო-მუსიკოლოგი, ანსამბლ "ეოეოქინას" დამაახლებელი და ელეს მუზეუმთან ახსებული ანსამბლ "მქელის" ხელმძღვანელი - ქეთევან ბაიაშვილი გვესაუბრება ქართული მუსიკის, მათ შოხის, მრავალმიანობის ფენომენზე, ეთნომუსიკაზე, მუზეუმზე...

თბილისის სიმლეის მუზეუმის შესახებ პუბლიკაციები გაეხელება ეუხნაის სხვა ნომეებშიც.

ქართული ხალხური სიმღერა და მისი მუზეუმი თბილისში

ქეთევან ბაიაშვილი

მრავალმიანობა ხმების სიმრავლე არაა

ქართველებს დიდი სიმდიდრე გვიანდერძეს წინაპრებმა. ჩვენი განძი ხელშესახები როდია, ის სულიერი სფეროს ნაწილია და პქვია მუსიკალური მრავალმიანობა. მრავალმიანობა ანუ პოლიფონია მხოლოდ ხმების სიმრავლეს არ ნიშნავს: ჯერ ერთი, ქართული ხალხური მუსიკის საფუძველი ძირითადად სამხმიანობაა და, მეორეც, მრავალმიანობა ქართველთა სააზროვნო სისტემაა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხმებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ხმები მორჩილებენ გარკვეულ წეს-კანონებს.

ქართველთათვის პოლიფონიური აზროვნება დამახასიათებელი თვისებაა, მათი იდენტობის მნიშვნელოვანი მსაზღვრელია. ზოგჯერ მას მუსიკალურ ფილოსოფიასაც ეძახიან. ხალხური მუსიკის შემსწავლელ მეცნიერებს კი ეთნომუსიკოლოგია პქვია.

ეთნომუსიკოლოგია საქართველოში მეცნიერების შედარებით ახალგაზრდა დარგია. მას სათავე დაუდო ქართველმა კომპოზიტორმა და ხალხური მუსიკის მკვლევარმა, აკადემიკოსმა დიმიტრი არაყიშვილმა, როცა 1901 წელს მოგზაურობა დაიწყო საქართველოს კუთხეებში.

ფონოგრაფით (ხმისჩამწერი) ჩაიწერა მუსიკალური ფოლკლორის მრავალი ნიმუში და თითოეული მეცნიერულად შეისწავლა.

ასევე, მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჯერ ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტისა (1936 წ.) და შემდეგ კათედრის დაარსებაც; ასევე, მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასთან ერთად ეთნომუსიკოლოგიური განყოფილების ჩამოყალიბებაც. სამწუხაროდ, მეცნიერებათა აკადემიაში ეს განყოფილება დაიხურა, კონსერვატორიაში კი ის დღემდე ახალგაზრდა თაობების აღზრდის სამსახურშია.



საკრავების მუზეუმი. ქართული დარბაზი



„საქართველო – პოლიფონიური მსოფლიოს დედაქალაქი“

ქართული ხალხური მუსიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია, განთქმულია მთელს მსოფლიოში. მას არა ერთი მოგზაური, მწერალი, კომპოზიტორი თუ უბრალო მსმენელი აღუფრთოვანებია.

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარა.

„ბოლო დროის ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი შთაბეჭდილება... ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის ჩანაწერებია. მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა; ის გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოლდი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი აქამდე მომისმენია“, – წერდა მეოცე საუკუნის დიდი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი.

ქართულ ხალხურ სიმღერას, ასევე, აღფრთოვანებით მოიხსენიებენ ფრანგი მწერლები – ალექსანდრე დიუმა და რომენ როლანი, იტალიელი მისიონერები – კრისტეფორო დე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, ფრანგი მოგზაური ფრანსუა დე გამბა, გასული საუკუნის ცნობილი მუსიკოსები – ბორის ასაფიევი, ალან ოვანესი, ერის შროკმანი, ზიგფრიდ ნადელი, მარიუს შნაიდერი და სხვები.

როგორც ჩანს, ქართულ სიმღერას უცხოელთა ყურადღება შორეული წარსულიდან მიუპყრია. უძველესი წერილობითი ძეგლები მის შესახებ სწორედ უცხოელთა – ასურეთის მეფე სარგონისა (ძვ.წ.ად. VIII ს.) და ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის – ქსენოფონტეს (ძვ.წ.ად. IV ს.) მიერაა შემონახული.

რითი ხიბლავს ასე ქართული სიმღერა უცხოელებს? სიმართლე ის არის, რომ, მიუხედავად განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზისა, მან ჩვენამდე მოაღწია გასაოცარი მრავალფეროვნებითა და სრულყოფილებით. გვხვდება ერთი, ორი, სამი და ოთხხმიანი სიმღერები - სხვადასხვაგვარი პოლიფონიური ფორმით (თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართული სიმღერის მახასიათებლად სამხმიანობა ითვლება).

ამიტომაც მსოფლიოში სახელგანთქმული ეთნომუსიკოლოგი **იხალი ზემცოვსკი ამბობს, რომ „პოლიფონიის ის ფორმა, რომელიც საქართველოში არ გვხვდება, პოლიფონიად არც კი ჩაითვლება.“** მეოცე საუკუნის მსოფლიოს უდიდესი ავტორიტეტი კი, ეთნომუსიკოლოგი ალან ლომაქსი, საქართველოს პოლიფონიური მსოფლიოს დედაქალაქად მოიხსენიებდა.

სწორედ მისი არჩევნით გაიგზავნა კოსმოსში – „ჩაკრულო“ – ქართული სულისა და მშვენიერების გვირგვინი.



ლარჭემი - ქართული საკრავი

რაც მუსიკალურმა მესხიერებამ შემოგვინახა

ჩვენამდე მოაღწია ოცამდე მუსიკალურმა დიალექტმა. ყოველ დიალექტს თავისებური მუსიკალური ენა გააჩნია. ისევე, როგორც მეტყველება, სიმღერაც განსხვავებულია სხვადასხვა კუთხეში.

მაგალითად, დინჯი და მდორეა კახური სიმღერა, ძალიან ცოცხალი და მოძრავია გურულ-იმერული. ხევსურულმა, აფხაზურმა, სვანურმა დიალექტებმა სიმღერის უძველესი ფორმები შემოინახეს და მათ მოსმენას საუკუნეების სიღრმეში გადავყავართ და ა.შ.

ქართული მუსიკალური ფოლკლორი მდიდარია უანრული თვალსაზრისითაც. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ მუსიკა ცხოვრების ნაწილი იყო ძველ კულტურებში და ამიტომ ყველა ადამიანურ ქმედებასა თუ საქმიანობას თავისი შესატყვისი სიმღერა ახლდა.



დიპლიპიტო - ქართული საკრავი



ქამანჩა - აღმოსავლური საკრავი

ქართველთა მუსიკალურმა მეხსიერებამ უამრავი ნიმუში შემოგვინახა. შინაარსისა და დანიშნულების, ანუ ჟანრების მიხედვით გაგვაჩნია აკვნის ნანები-დასაძინებელი, ბავშვის აკვანში პირველად ჩაწვევის საფერხულოები, ბავშვის ინფექციური დაავადებების იავნანები და დაჭრილების სამკურნალო, შრომის სხვადასხვა პროცესის თანამდევნი, საბრძოლო, გამარჯვებისა და ღვინის, ქორწილის, ისტორიული, გლოვის, სამონადირეო, მგზავრული, ამინდის მართვის, საკულტო და სხვა სიმღერები.

ზოგიერთ ქვეყანაში ხალხური სიმღერის ძირითადი შემსრულებლები ქალები არიან. მაგალითად, ავსტრიაში, ბულგარეთში, რუსეთში... საქართველოში კი, ძირითადად, მამაკაცების სიმღერებია გავრცელებული. ეს არ ნიშნავს, რომ ქალები არ მღეროდნენ. ქალებს, ძირითადად, ბავშვის აღზრდა ევალებოდათ. ამიტომაც, ქალთა სიმღერები საქართველოში მათი საზოგადოებრივი როლით, ანუ სოციალური ფუნქციით განისაზღვრებოდა. თუმცა, არსებობდა ქალთა და მამაკაცთა ერთობლივი შესრულებაც.

საქართველოში ხალხური სიმღერა, ძირითადად, საკრავების გარეშე სრულდება. უფრო სწორად, ქართული ხალხური მუსიკა ვოკალურ ანუ სასიმღერო პოლიფონიურ კულტურებს განეკუთვნება.

ძველთაგან მოყოლებული, საქართველოში არსებობს მუსიკალური საკრავები, მაგრამ ჩვენში საკრავიერი მუსიკა ისე არასდროს განვითარებულა, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში: არაბეთში, ირანში, ინდოეთსა და სხვაგან.

საკრავი, იგივე ინსტრუმენტი, ერის მუსიკალური აზროვნების ნივთიერი მტკიცებულებაა. მართლაც, განათლებულ ადამიანს შეუძლია, განასხვაოს პოლიფონიური* აზროვნებით დამზადებული საკრავი ჰომოფონიურისაგან.**

საქართველოში მუსიკალური საკრავი, ძირითადად, სიმღერებისა და ცეკვების სათანხლებოდ გამოიყენებოდა, სოლო დასაკრავები შედარებით მცირედ მოგვეპოვება. ამას გარდა, ძველ დროში საკრავს განსაკუთრებული დანიშნულებები ჰქონდა. მაგალითად, საღამური – მთელს მსოფლიოში მწყემსების საკუთრებაა და მას ცხოველებთან საურთიერთობოდ იყენებდნენ, გუდასტვირით – ზემისა და ღვინის დროს ადამიანებს ღოცავდნენ, ჩონგური და აფხიარცა – სამკურნალო საკრავად ითვლებოდა და ა.შ.

თბილისის მუზეუმს დანარჩენთაგან განასხვავებს ხალხური სიმღერის წოხალი შესრულება



ციტრა - ევროპული საკრავი

სწორედ ამ არაჩვეულებრივ კულტურას ინახავს თბილისის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი. იგი დაარსდა 1975 წელს, თბილისელი კოლექციონერის – არკადი რევაზიშვილის კერძო კოლექციის ბაზაზე. არკადი რევაზიშვილსა და მის კოლექციაზე საუბარი დიდი და საინტერესო თემაა. ამჯერად მოკლედ მოგიტყვობთ მუზეუმის შესახებ.

ამ მუზეუმში ინახება როგორც ქართული, ასევე, კავკასიური და სხვა ერების ხალხური სიმღერების ჩანაწერები. სამივე საგამოფენო დარბაზი ეთმობა ქართულ ტრადიციულ, აღმოსავლურ და კავკასიურ საკრავებს.

პირველ დარბაზში გამოფენილია ქართული ხალხური ინსტრუმენტები (ფანდური, ჭუნირი, ჭიანური, გუდასტვირი, ლარჭემი, დაირა, დიპლიპიტო...).

მეორე დარბაზი ეთმობა აღმოსავლური საკრავების (საზი, ქამანჩა, თარი...) ექსპონირებას.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ევროპული მექანიკური საკრავების რევაზიშვილისეული

* – რამდენიმე ხმის ერთდროული შეხამება ვოკალურ ან ინსტრუმენტალურ ნაწარმოებში.
 ** – მრავალხმიანობა, სადაც ერთი ხმა სჭარბობს.



კოლექცია (ორდანი, ორკესტრიონი, პორტატული ორდანი, გრამოფონისა და პატეფონის ნაირსახეობანი, პიანოლა, მანდოლინა, ბანჯო, ციტრა...).



საკრავების მუზეუმი. ევროპული დარბაზი

მუზეუმში დაცულია მრავალი ქართველი მოღვაწის ფოტო, ხელნაწერი, წიგნი. მუზეუმის ხშირი სტუმრები სკოლის მოსწავლეები არიან. ასევე, სტუდენტები, უცხოელი ტურისტები და პროფესიონალები, შემსრულებლები. აქ ხშირად იმართება შეხვედრები, საჯარო ლექციები, ეთნომუსიკოლოგიური საღამოები, დისკუსიები.

მუზეუმთან არსებობს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მჭელი“, * რომელიც ეძებს და ასრულებს სრულიად მივიწყებულ ხალხურ სიმღერებს. ასე რომ, მათი რეპერტუარი, სავსებით კანონიერად, სამუზეუმო ექსპონატების რიგს განეკუთვნება.

ძალიან ხშირად „მჭელის“ რეპეტიციას უამრავი სტუმარი ჰყავს, როგორც უცხოელი, ასევე, ჩვენი თანამემამულე.

სწორედ ხალხური სიმღერის ცოცხალი შესრულება განასხვავებს ამ მუზეუმს დანარჩენი მუზეუმებისგან. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არცთუ მრავლადაა ხალხური სიმღერის მუზეუმები.

ძალიან საამაყოა, რომ ჩვენი სამშობლო იმ მცირე ქვეყნებს მიეკუთვნება, სადაც, 30 წელზე მეტია, არსებობს ხალხური სიმღერის მუზეუმი.

კიდევ უფრო მეტ მოვლასა და პატივს ნამდვილად იმსახურებს ჩვენი ხელიხელსაგოგმანები, უმდიდრესი და უმაღლესი რანგის ხალხური სიმღერა.

ქვეყნის ფესვანები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მატულობს არა მხოლოდ ქართული სიმღერის მოსმენის მსურველთა, არამედ მათ შემსწავლელთა რიცხვი.

დღეს ქართულ ხალხურ სიმღერას მღერიან ამერიკაში, ირლანდიაში, ისრაელში, შვედეთში, კანადაში, ესპანეთში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში...

საგულისხმოა, რომ ქართული ხალხური სიმღერის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ხალხური სიმღერის შესრულების თითქმის უკვე ორსაუკუნოვანმა ტრადიციამ.

დღეს საქართველოში მრავლადაა ხალხური სიმღერის შემსრულებელთა ჯგუფები თუ ანსამბლები (მათი მეოხებით საქვეყნოდ სახელგანთქმულია ქართული მუსიკალური ფოლკლორი): „რუსთავი“, „ბასიანი“, „დიდგორი“, „მთიები“, „ქართული ხმები“, „გორდელა“, „ადილეი“, „ძირიანი“, „შაენაბადა“, „ერთობა“, „სახიობა“, „ანჩისხატი“, „მზეთამზე“, „ნანიანა“, „სათანაო“, „იალონი“, „ლაშარი“, „ამერ-იმერი“, „პატარა კახი“...



საკრავების მუზეუმთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მჭელი“

სულ უფრო ხშირად იწვევენ მათ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში სხვადასხვა ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად თუ საკონცერტოდ. ეს ანსამბლები ნამდვილად არიან ჩვენი სამშობლოს დესპანები.

მათი მოღვაწეობა მეტად მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა არა მხოლოდ ჩვენი უნიკალური კულტურის მსოფლიოსათვის გასაცნობად, არამედ ძირძველი ტრადიციული მუსიკის უკვდავსაყოფად.


* – პეშვი (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით).



სამი განდგილი მჭრი

იხანდიუხი ამბავი

თარგმნა ღალი მუხამე



უძველეს დროში, როცა ირლანდიაში მრავალი განდგილი ცხოვრობდა, სამმა ბერმაც გადაწყვიტა, გასცლოდა ამქვეყნიურ ამოებებსა და ფუჭ საუბრებს და მოეპოვებინა ღვთიური სიმშვიდე. ასე განმარტოვდნენ ინიშ კოილის კუნძულზე. ქვისგან აიშენეს პატარა ქოხები, სადაც სრულ მღუმარებაში ატარებდნენ დღეებს; იცავდნენ მარხვასა და ეზიარებოდნენ ღვთის სიტყვას.

ისე გავიდა ერთი წელი, რომ არც ერთ ბერს ხმა არ ამოუღია. წლის ბოლოს ერთ-ერთმა ბერმა იკითხა:

– ნუთუ ჩვენი ცხოვრება სიკეთით არ არის სავსე?!

მეორე წლის ბოლოს მეორე ბერმა უპასუხა:

– სავსეა!

ხოლო, როცა მესამე წელი იწურებოდა, მესამე ბერი ადგა, აიღო ფსალმუნნი და თქვა:

– მე მივდივარ, რომ მოვიპოვო სიმშვიდე და ნეტარება, რადგან აქ, ინიშ კოილის კუნძულზე, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ.

მაგიის სკოლა

იხანდიუხი სავა

ძველ დროში არსებობდა მაგიის სკოლა, სადაც სწავლობდნენ ათასგვარ ჯადოქრობას და იღებდნენ ძველისძველ ცოდნას. ეს სკოლა მიწისქვეშეთში მდებარეობდა. მას არც ფანჯრები ჰქონდა და იქამდე არც შუქი აღწევდა. იდგა უკუნი სიბნელე. არც მასწავლებელი ჩანდა სადმე, ყველაფერს წიგნებიდან სწავლობდნენ. სტრიქონები ცეცხლოვანი ასოებით იყო დაწერილი და ამიტომ სიბნელეში კარგად იკითხებოდა. სწავლა გრძელდებოდა სამიდან შვიდ წლამდე. ამ დროის მანძილზე მოსწავლეები არ ტოვებდნენ მიწისქვეშეთს და არც არასდროს ხედავდნენ დღის სინათლეს.

ერთი უმკაცრესი წესიც იყო ამ სკოლაში: როდესაც მოსწავლეები ტოვებდნენ მიწისქვეშეთს, გასვლის დროს, ვინც ბოლო იყო, ის სამუდამოდ იქ რჩებოდა.

ერთხელ ჯადოქრობის სკოლაში სამი ისლანდიელი სწავლობდა: ბრძენი სემუნდი, კალვიური და ხალვადანი. როცა სკოლის დატოვების დრო დადგა, მათ მოილაპარაკეს, რომ როგორმე ერთად გასულიყვნენ მიწისქვეშეთიდან. მაგრამ ბრძენმა სემუნდმა უთხრა მეგობრებს, მე დავრჩები და მოვახერხებ ეშმაკის მოტყუებასო. ასეც მოიქცნენ.

სემუნდმა მოიხურა განიერი მოსასხამი. მეგობრები აუყვნენ კიბეს და, ის იყო, სამშვიდობოს უნდა გასულიყვნენ, რომ ეშმაკმა ხელი სტაცა სემუნდს და დაიდრიალა:

– შენ კი ჩემი ხარ!

სემუნდმა მოსასხამი გაიძრო, ეშმაკს შეაჩეჩა და თვითონ გაიქცა. ჭრიალით დაიხურა რკინის კარი, სემუნდის ტერფი კი მოიყოლა.

– ჩემი სული უფრო ძვირფასია ჩემს ტერფზე! – თქვა სემუნდმა. ეს სიტყვები ისლანდიაში ანდაზად იქცა.

არადა ჰყვებიან, რომ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა თურმე.

როცა სემუნდმა პარმადს გადააბიჯა, მზემ მიანათა და მისი ჩრდილი ქვესკნელის კედელს დაეცა. ის იყო, ეშმაკს ხელი უნდა ჩაეგლო, რომ სემუნდმა იყვირა, მე არა ვარ ბოლო, ჩემს მერე სხვა მოდისო!

ეშმაკს ჩრდილი სხვა ადამიანი ეგონა და იგი დაიჭირა. ასე გათავისუფლდა სემუნდი, მაგრამ ამბობენ, მას მერე უჩრდილოდ ცხოვრობდა, რადგან მისი ჩრდილი ეშმაკმა სამუდამოდ თავისთან დაიტოვა.





პოეტი და გლეხი ჩიანდიუხი საგა

მოხდა ისე, რომ პოეტი მაკლონინი, რომელიც ცხოვრობდა მეცხრე საუკუნეში, ბევრს მოგზაურობდა პოლევში. ერთხელაც მას გზაში შემოხვდა მიწის მუშა. იგი მშობლიურ მხარეში, დალკასადანში ბრუნდებოდა; თან მოჰქონდა თორმეტკუთხედიანი შრომის საფასური – ძროხა და მოსასხამი.

გლეხმა იცნო პოეტი მაკლონინი და სთხოვა, შეექმნა რაიმე პოემა. ისიც დასთანხმდა და მოხიბლა კიდევ თავისი მსმენელი დალკასადანელების ხოტბით.

გლეხს ისე მოეწონა თანამემამულეებზე შექმნილი პოემა, რომ ავტორისთვის გაიმეტა კუთვნილი ჯილდო – ძროხა და მოსასხამი.

ეს ამბავი შეიტყვეს დალკასადანელებმა და თავისი სამშობლოს ერთგული გლეხი ათმაგად დაასაჩუქრეს.

ძველად ამბობდნენ: ვისაც სურდა ირლანდიის დაქუცმაცება, ის მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა.



კაჭკაჭის ბუდე ინგლისუხი ცუენდა

დიდი ხნის წინათ მთელი ქვეყნიერების ფრთოსნები კაჭკაჭთან მიფრინდნენ და სთხოვეს, ბუდის აშენება ესწავლებინა. კაჭკაჭი ხომ საოცარ ბუდეს აშენებს! ჰოდა, ამ საოცარმა მშენებელმაც შემოიკრიბა გარშემო ფრინველები და შეუდგა მუშაობას; პირველად ტალახის პატარა გუნდა გააკეთა, გააბრტყელა და ბუდის საძირკველად დადო.

– აი, თურმე, ბუდე როგორ შენდება! – იყვირა რუხმა შაშვმა და სასწრაფოდ გაფრინდა. მას შემდეგ რუხი შაშვები სწორედ დაუმთავრებელ ბუდეებს აშენებენ.

შემდეგ კაჭკაჭმა წვრილი ჩხირები შემოავლო საძირკველს.

– აა, ყველაფერს მივხვდი! – თქვა ამჯერად შავმა შაშვმა და ისიც გაფრინდა. დღემდე ისიც უვარგის ბუდეს იშენებს.

კაჭკაჭი კი განაგრძობდა სწავლებას. ჩაწყობილ ჩხირებს კიდევ ერთი ფენა ტალახი შემოავლო.

– ახლა ყველაფერი გასაგებია! – თქვა ბუმ და ისიც გაფრინდა. მას შემდეგ ბუმებმა ვერაფრით ისწავლეს ბუდეების აგება.

კაჭკაჭი გაოცებული განაგრძობდა სწავლებას. ამჯერად აიღო კიდევ რამდენიმე ჩხირი და ისევ გარშემო შემოავლო ნახევრადამოყვანილ ბუდეს.

– აი, რაც მინდოდა! – გაუხარდა ბელურას და გაფრინდა. ამიტომ, რომ ბელურები უწესრიგოდ აშენებენ ბუდეებს.

შემდეგ კაჭკაჭმა საიდანაც მოზიდა ძონძები, ბუმბულები და ბუდე მყუდროდ მოაწყო.

აი, ეს მომწონს! – წამოიძახა შოშიამ და ისიც გაფრინდა. და მართლაც, მას შემდეგ შოშიებს მყუდროდ მოწყობილი ბუდე აქვთ.

ასე გადიოდა დრო, კაჭკაჭი ასწავლიდა, ფრინველები კი ბოლომდე არც უსმენდნენ და ერთმანეთის მიყოლებით მიფრინავდნენ.

კაჭკაჭი განაგრძობდა შრომას, არავის უყურებდა და ასე ალამაზებდა საბუდარს.

ბოლოს, როცა ყველა გაფრინდა, კაჭკაჭმა მიმოიხედა და რას ხედავს?! ერთი პატარა გვრიტი იყო დარჩენილი და ისიც არ უსმენდა მასწავლებელს, მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ორიც ცოტაა, ორიც ცოტაა!

– ერთიც გეყოფა! – გამოეპასუხა კაჭკაჭი.

– ორიც ცოტაა, ორიც ცოტაა! – განაგრძობდა გვრიტი.

– მე შენ გეუბნები, ერთიც გეყოფა! – გაბრაზდა კაჭკაჭი.

– ორიც ცოტაა, ორიც ცოტაა! – თავისას არ იშლიდა

გვრიტი.

ბოლოს კაჭკაჭს აევსო მოთმინების ფიალა. უყურა, უყურა სულელ გვრიტს და განრისხებული გაფრინდა. თან ფიქრობდა, რომ არასოდეს ჩაერეოდა სხვის საქმეში და არც არასოდეს ასწავლიდა ჩიტებს ბუდეების აგებას.

ამიტომ, რომ დღეს ყველა ფრინველი სხვადასხვაგვარად იშენებს ბუდეს.





კონსტანტინე როგავა

სამეხზაყანოს მკვიდრის, კონსტანტინე ჩიგვავას ნაამბობით ვეცნობით გზას, რომელიც გალის ერთი უღამაზესი სოფლიდან, ოქემიდან იწყება და ენგუთან მთავრდება. ავტობუსიდან ერთად შეუძლებელია, მკითხველმაც ახ განიცადოს იმ გზის სიმძაფრე, რომელსაც პირობითად "სამშობლოდან სამშობლომდე" ჰქვია. მკვირვებელია ერთხელ, რომელსაც ახალგაზრდა თავის თავს უსვამს: "ჩემი რა ვადა საქართველოში?" და მეც თვითონვე პასუხობ: "თუმცა, ახლაც განა აქ ახ ვაა?!"

ავტობუსის დაკვირვებელი თვარი სწორად აფასებს აფხაზეთში შექმნილ ამჟამინდელ მდგომარეობას: ჩემთვის ქართველები, აფხაზებიც, ასევე, ახიან ჩვენს ოკუპანტების მძევლები და მათი თავისუფლების საზღაურად სავადილოა. ცხადია ისიც, რომ სხელიც უნაჩივრად გამოიყურება საერთაშორისო ომგანიზაციები და ქართველებმა და აფხაზებმა თავად უნდა გამოწახონ შეჩივების გზები.

მხნეობას გმაცებს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდის სიჭიქე თუ მიზანსწრაფვა, ახ მოსწყდეს დანახრენ საქართველოს: ჩამდენჯერაც ახ უნდა დამიჭიხონ, ისეც იმ გზას დავუბრუნდები!

ბოლოს უნდა ითქვას, თხზულებაში თავისუფლების ისეთი ხაზისი იგეგმობა, გჯერა, სანამ ენგუთს გაღმა ერთი მინც ახიხონებს და წეხს ასე, აფხაზეთი ახ დაეახედა.

გაღელი კონსტანტინე ჩიგვავა სასწავლო უნივერსიტეტ "გეომედის" სამედიცინო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

თავისუფლების სესანი

კონსტანტინე როგავა

დილის 7 საათი იქნებოდა. ზაფხულის გავარვარებული და თვალისმომჭრელი მზე ამშვენებდა ჩვენი სოფლის, ოქემის უღამაზეს მთებს. ცაზე ერთი ღრუბელიც არ მოჩანდა. მე და ჩემი უფროსი ძმა – კახა იმ დილით ზუგდიდში მივდიოდით. სკოლის დამთავრების შემდეგ გამოცდების გამო გვიწვედა იქ ჩასვლა.

ბარგი ჩავაღაგეთ. ჯერ კიდევ გვეძინებოდა, მაგრამ ადრე უნდა გავსულიყავით. ვიცოდით, წინ გრძელი და მძიმე გზავრობა გველოდა. მშობლებს გამოვემშვიდობეთ და ავტობუსისკენ გავწიეთ. მანქანა წასასვლელად უკვე მზად იყო. ჩვენც ჩავსხედით და ისიც რამდენიმე წუთში დაიძრა.

გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული, არაერთხელ ნანახი და ომის დროს განადგურებული შენობები ამჯერადაც მოსაწყენ განწყობას გვიქმნიდა. მიუხედავად ამისა, სოფელი თავისი ბუნებრივი სიუხვით მაინც არ გამოიყურებოდა დაბეჩავებულიად. გზაში ერთი და იგივე აზრი მეძალებოდა, უსიამო განცდა არ მასვენებდა. გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, როგორ ჩავიდლოდი საქართველოში? თუმცა, ახლაც აქ არ ვართ?!

ამ ფიქრებში წასულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ გაიღია დრო და როგორ აღმოვჩნდი უკვე გაღმა. აქ კი უფრო ფხიზლად ყოფნა იყო საჭირო. აქვე პოლიციელებიც ირეოდნენ.

ქალაქი შედარებით ჯანსაღად გამოიყურებოდა. ვხედავდი მწუხარეთვალეებიან ადამიანებს, რომელთაც მაინც შერჩენოდათ იმედის ნაპერწკალი.

ავტობუსიდან ჩამოსული ხალხი ბაზარში აირ-დაირია, ჩვენ კი ჩვენს გზას გავუყევით, გზას, რომლითაც ზუგდიდში მოხვედრა არც ისე იოლი იყო.



საბუთები, რა თქმა უნდა, არ გვექონდა, ენგურით რომ გადავსულიყავით. ერთადერთი გამოსავალი კი, რომლითაც შეგვეძლო იქ მოხვედრა, იყო ე.წ. „ჩორნი ხოლი“. ყველაზე დასანანი მაინც ის იყო (თუ არის), რომ იქ რუსი ოკუპანტები, ზომბებადქცეული უგულო ადამიანები გვეგულვებოდნენ. ავტოსადგურში იდგა მანქანა, რომელსაც ენგურის საზღვრამდე უნდა მივეყვანეთ. კახას ვუთხარი:

– ფრთხილად უნდა ვიყოთ; რა იცი, რა ხდება, არ დავიწვათ, არ დაგვიჭირონ!

თვითონაც დაბნეული მხერა მომაშტერა და მიპასუხა:



– ნუ გეშინია, გავეძვრებით!..

ის იყო, გავცდით საპატრულო მანქანას და მექანიკურად უკან მივიხედე. შიში თითქოს დაძლეული მქონდა; უბრალოდ მაინტერესებდა, ჩვენს მერე რა მოხდებოდა. თურმე სიურპრიზი მაინც გველოდა.

ჩემს წინ ორმეტრიანი, ერთი შეხედვით, არასასიამოვნო შესახედაობის აფხაზი პოლიციელი გაიჭვივდა. მოულოდნელობისგანაც დავიბენი. თუმცა მან გაღიმებული მზერა მომაპყრო და დავინახე, რომ სულაც არ ჰქონდა ბოროტი გამოხედვა. მერე მისი ხმაც გავიგონე:

– ძალიან ცივი წყალია, არ გაცივდეთ!

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, რაზე მიმანიშნებდა. ეს თითქოს არ შევიძინე, მაგრამ გაკვირვებულმა მაინც ვიკითხე:

– ვერ გავიგე, ბატონო?!

ამჯერადაც გავვიღიმა:

– არაფერი, ბიჭებო, მშვიდობიან გზას გისურვებთ!

გაოგნებულებმა მადლობა გადავუხადეთ და გზა განვაგრძეთ სიხარულით თავბრუდახვეულებმა; გახალისებულებმა იმით, აფხაზი ახლობელივით რომ მოგვექცა და მეტიც: ქართულად რომ შეგვეხმინა. ამ განცდამ ძალა შეგვმატა, იმედი მოგვეცა, რომ ზუგდიდამდე მშვიდობიანად ჩავადწევდით.

ასე მივედით ავტოსადგურამდე. მანქანა წასასვლელად უკვე მზად იყო. საბარგულში ჩვენი ნივთები ჩავდეთ და დავიძარით კიდევ. თხუთმეტობდე კილომეტრი გვექნებოდა გავლილი, ისევ მომეძალა შიში, აუხსნელი, ქვეცნობიერი. თვალწინ მედგა აფხაზი პოლიციელი, რომელმაც ასე კეთილად დაგვამახსოვრა თავი; მაგრამ ვერ ვიმორებდი ფიქრს რუს ოკუპანტებზე, მათთან მოსალოდნელ შეხვედრაზე. მძღოლის ხმამაღალმა შეძახილმა გამომაფხიზლა:

– ათ წუთში ადგილზე ვიქნებით! მოემზადეთ! აბა, თქვენ იცით, ფრთხილად და ყოჩაღად! იქ დრო ცოტა გაქვთ!

დანიშნულების ადგილზე ჩამოვედით და აჩქარებული ნაბიჯით გავუყვევით ბილიკს. აქ უკვე შიშზე ფიქრის დროც არ იყო. თხილნარში შევედით. კახა ცოტათი დაწინაურდა, მერე მომიტრიალდა და მითხრა:

– სწრაფად გამოადგი ფეხი! კიდევ ცოტაც და უკვე იქ ვიქნებით!

სირბილით მივადწიეთ საზღვარს, იქ, სადაც ენგურის პატარა შენაკადი მიედინებოდა. წყალი უდაბური და შავი იყო, არც ისე ღრმა, მაგრამ ძალიან ცივი.

უცებ გამახსენდა ის აფხაზი პოლიციელი და ჩამესმა მისი ხმა, წყალი ცივია, ბიჭებო, არ გაცივდეთო.

ორიოდე ნაბიჯიდა იყო დარჩენილი, ვიდრე სამშვიდობოს გავიდოდით. ხმა მოგვესმა მკვეთრი რუსული აქცენტით და ადგილს მივეყინეთ.

– Куда спешите, ребята?

ამჯერად ყველაფერი ცხადი იყო. ხაფანგში აღმოვჩნდით.

უკან მივიხედეთ. ნაპირთან სამი შეიარაღებული ჯარისკაცი იდგა, სამი რუსი ოკუპანტი. გაუმართლათ, ჯილდოდ, ალბათ, საკმაო პრემიებსაც გამოუწერენ!

– Отпустите нас, прошу...

შიშისაგან ენა მებმოდა. მე ხომ ასეთ სიტუაციაში პირველად მოვხვდი. მაგრამ დაახლოებით ვიცოდი, რა განაჩენიც გველოდა.

მათ შორის ერთ-ერთმა თითქოს თავისი ადამიანური „სისუსტე“ გამოავლინა. შემომხედდა და, მომეჩვენა, სვედიანი ხმითაც კი მითხრა:

– Если смог, отпустил-бы вас; Я не причем, закон такой!

მაგრამ ის ხომ მაინც ოკუპანტია, რომელიც კანონის სახელით უკანონოდ აკონტროლებს საზღვარს.





– Быстро в машину! – გვიბრძანეს ამჯერად მკაცრად და თხილნარიდან გაგვიყვანეს. გზაზე მათი ოკუპანტური „ვილიქსი“ იდგა.

კილომეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, დიდი კედლებით გარშემორტყმულ შენობას რომ მივადექით. გაიღო უზარმაზარი რკინის ჭიშკარი და მანქანა შუა ეზოში გაჩერდა.

„ვილიქსიდან“ გადმოსვლამდე გაგვჩხრიკეს, ყველაფერი ჩამოგვართვეს. ბოლოს კი უხეში ჯიკავ-ჯიკავით ბნელ სარდაფშიც ამოგვაცოფინეს თავი.

შიშისგან უკვე მართლაც დაცლილი ვიყავი. კახა კი, რომელიც მანამდე მთელი გზა აქეთ მამშვიდებდა,

ახლა აფორიაქდა, თითქოს ამ განსაცდელისთვის მზად არ იყო.

სარდაფში ერთ სახეაკუწულ, ბეჩავი გამომეტყველების, უზბეკ ჯარისკაცს ჩაგვაბარეს, გადამთიელს, რომელმაც, ალბათ, არც იცის, სად არის და რას სჩადის, რის სამსახურშია.

ამ ბედოვლათმა ნახევრადბნელი დერეფნის ბოლოში შავი რკინის კარი გაგვიღო და დამცინავად გვითხრა:

– Приятного отдыха!

მძიმე კარები გადარაზა თუ არა, ისტერიული სიცილი ამიტყდა ამ უზბეკის გარეგნობის გამო. ჩემი განწყობა კახასაც გადაედო და ამან ცოტათი მძიმე სტრესიდან გამოიყვანა, შედარებით დაამშვიდა.

სარდაფში, ანუ იგივე საკანში შავებში ჩაცმული ერთი კეთილი ბებო დაგვხვდა. ეტყობოდა, რომ ცხოვრებით იყო ძალიან გადაღლილი და ეს მის თვალებშიც კარგად ჩანდა.

– გამარჯობათ! – მივესალმეთ და ჩამოვჯექით.

– გაგიმარჯოთ! თქვენ მაინც რას გერჩოდნენ. ნუთუ არ შეეცოდეთ?! – იკითხა გულუბრყვილოდ.

– არა, ბებო, მათ ეს ევალებათ. ოკუპანტები არიან და იმიტომ!

ჩვენი დიალოგი ამით ამოიწურა. ისე მოსაღამოვდა, ხმა არც ჩვენ ამოგვიღია, არც ბებოს.

ვერ ვიტყვი, რომ მე და ჩემი ძმა, ან ჩვენთან მყოფნი სხვა დაპატიმრებულნი ნესტიანმა კამერებმა ან, თუნდაც, შეიარაღებულმა ახმახებმა დაგვადუმა, მაგრამ ყველანი თავჩაღუნულნი ვისხედით.

უცნაური განცდა დამეუფლა. ძნელია, გადმოსცე, ეს რა იყო – ჩემივე ქვეყანაში, ამ ბნელსა და ცივ სადაფში, შორეთიდან ათასობით კილომეტრგამოვლილმა ოკუპანტმა ჩამკეტა და მიწოდებს დამ-ნა-შა-ვეს!

უსამართლობისა და დაუცველობის გრძნობამ შემიპყრო. შემძულდა ამქვეყნად ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ეკრანებიდან მხოლოდ მშვიდობას რომ ქადაგებენ.



პარალელურად სკოლაში ჩუმად ნასწავლი ჩემი ქვეყნის ქართული ისტორიის შტრიხები გადამეშალა და მივხვდი, რომ თავის ჩაქინდვრისა და დანებების უფლება არ მქონდა.

იმ დღეს მივხვდი, რომ არც ეკრანებიდან ნანახი ჰალსტუხიანი „მაგარი ბიჭების“ იმედიც არ უნდა მქონოდა და რომ ჩვენ თვითონვე უნდა გვეზრუნა მშვიდობისათვის, შერიგებისათვის.

გადაწყვეტილება საკანშივე მივიღე და განთავისუფლებისთანავე ისევ გავუდექი იმ გზას, საიდანაც ოკუპანტებმა გამომაბრუნეს.

და ვიცი, მჯერა, რომ რამდენჯერაც არ უნდა დამიჭირონ, მე ისევ ამ გზას, ამ დასაწყისს დაგუბრუნდები.

ყველაზე მეტად კი იმაზე დამწყდა გული (უფრო კი მეტკინა), რომ ჩემი თავისუფლებისთვის მებრძოლი თანამომხე აფხაზებიც ჩემს გვერდით ისხდნენ.

მათი ნანატრი თავისუფლების ფინალიც ეს კამერა აღმოჩნდა.



"სტუდიები-3" - ასე ჰქვია მონაწილე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის შემოქმედ ბავშვთა ლიტერატურულ აღმანახს, რომელიც სასახლის 75-ე წლისთავს მიეძღვნა. "დაფიონი" მკითხველს სთავაზობს ლიტერატურულ-შემოქმედებითი წიხის წევრის, ნიკა გაბუნასა (ჰედაგოგი - ლალი ჯაფარიძე) და "ცეხოდენა ჯანმრთების" წევრის, თაყო სულაბერიძის (ჰედაგოგი - ბელი სარქვაძე) ნამუშევრებს.



თაყო
სულაბერიძე

ჯეი ჯიდეუ წეჲენ მშობლიუი მინის სუხნელუ, ჯეი ჯიდეუ წეხან სამშობლოს ნახსელუ და სიზმარშიუ აი ასვენებთ მასუე თუქი. და მაგებისა და ხობოტების ეპოქაში სხელიად ადამიანუი, თბილი გიძნობებით აქვთ სავსე ბელი.

თუჲიდანი ის თუმაა, რომელსაც გუნგილად, ცხემლის გახუშე ვეიც ეთი ქახოველი ვეი გაიზხეუბს. თაყო სულაბერიძის "მინის სუხნელი" თუჲიდანელი გოგონას ოცნებას გვიმხეუბს: ცისახუყელაში გაიხოს, ანუ საქახოველო მოინახულოს (ეს იქაუბრის, თუჲიდანელების გამოთქმა).

ავტოი სიზმრის ჰეხსონავს - ზაიხას ცხვირსახოყში გამოჲეული ეთი მუქა ქახოული მინით აგიძნობინებს სამშობლოს სუხნელს და გამოლოვიტუბებს გუნგილად უხაიხა, რომ, თუნდაც, სიზმარში ეთ თუჲიდანელ გოგონას სამშობლოს ნახვის ნაცუხა აუხელა.

მიწის სურნელი

თაყო სულაბერიძე

ფერეიდანი ჩემი ოცნებაა, მაგრამ იქ მხოლოდ ერთხელ და ისიც სიზმარში მოვხვდი.

პირველი, ვისთანაც საუბარი გავაბი, პატარა გოგონა იყო – მას ზაირა ერქვა.

- არ ვიცი რატომ, მაგრამ... – დაიწყო ზაირამ.
- რა, მაგრამ?
- ვფიქრობ...
- რაზე ფიქრობ?
- რა ხდება ცისარტყელას გადაღმა?
- მეც მაგაზე ვფიქრობ.
- იქ ჩემი სამშობლოა!
- ჩემიც.
- იქ ვიღაც მეღის...
- ვინ?
- მშობლიური მიწა.
- რითი გრძნობ?
- სისხლის ყივილით!..
- რას აპირებ?
- ეგებ, თავს ვიტყუებ; არ ვიცი, როგორ გადავევლო ცისარტყელას.
- რომ შენს სამშობლოში მოხვდე?
- სამშობლო... – გულში ჩამწვდომია ეს სიტყვა.
- სამშობლოში არ ხარ?
- ხო, მე ფერეიდანიც მიყვარს, ის ჩემი მეორე სამშობლოა.
- კი, მაგრამ... საქართველო?
- საქართველო – პირველი.
- გინდა, მოხვდე საქართველოში?
- ხო, გადავევლები ცისარტყელას და ნატვრა ამიხდება!

ჯიბიდან ცხვირსახოცში გახვეული ერთი მუჭა მიწა ამოვიღე და გოგონას მივაწოდე. მან დაუფიქრებლად მიიხუტა გულზე. თვალები სიყვარულით ჰქონდა სავსე. მიწა დაეწოსა.

- ეს ქართული მიწაა! – თქვა და ანაზღად მე მომახერდა. წუთით სინემემ დაისადგურა.

- მე ქართველი ვარ! – თქვა ზაირამ. ავღელდი. აღარც მახსოვს, როგორ გადავეხვიე და გადავკოცნე.

გამომეღვიძა. სიზმარი დასრულდა. მაგრამ სულ თვალწინ მიდგას ფერეიდანელი გოგონა, რომელმაც სამშობლო მიწის სურნელით იგრძნო.





ნიკა გაბუნია

მეც "მაჩშიუტკის" "ბანაკამოვილი" ვაჩ, - ისე ამბობს მეშვიდეკლასელი ნიკა გაბუნია, თითქოს ცხოვრებისგან გამონათობილი შუახნის კაცი იყოს. მის ნაწიხში ვეცნობით ბავშვის სუფთა თვალთ დანახეც საზოგადოებრივი კიანსპოხის, მახთაც ხომ, მოუნესხიგებელ გახემოს, სადაც უგუცვბელყოფილის ადამიანხად მგზავხობის უფლება.

ნიჭიერი ყმანვილი სიდალითა და თვითიხონით გვიყვება თავგადასავალს, ხომელიც "მაჩშიუტკაში" გადახდა და ბიძენაკივით ასევის, ხომ "მაჩშიუტკა" ცხოვრების ეთოგვახი სყოლა და ამ კიანსპოხით ცხოვრებისეული გამოცდილების მისალებად ეთხედ მინც ყველა ბავშვმა უნდა იმგზავხოს.

და, ბოლოს, ეყყო, მახთაც შესაცვლელია ბუეხი ხამ ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში, ხაჟი დიდების სათქმელს ჰატახები ამბობენ.

„მარშრუტა“

ნიკა გაბუნია

ნახევარი თბილისის მოსახლეობა ვერ გაიგებს, თუ იტყვით, მიკროავტობუსით ვიმგზავრე ან სამარშრუტო ტაქსი გავაჩერეო. იმიტომ, რომ მას ჰქვია „მარშრუტა“!

ის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ჩემი აზრით, ცხოვრებისთვის მოუმზადებელი ბავშვები ხშირად უნდა ჩავსვათ „მარშრუტაში“, რომ ცხოვრების დიდი გამოცდილება მიიღონ. აქ ისინი ისწავლიან: მოთმენას, დასწრებას, ადგილის ფასს, ბილწისიტყვაობას... გაცნობიან მძღოლების პირად ისტორიებსა და ქალაქის ყველაზე პოპულარულ ჭორებს.

რაც მთავარია, „მარშრუტაში“ ბავშვი ეჩვევა ფეხზე მყარად დგომას, ხოლო მანამდე, წაბორძიკებულს, შემთხვევით ხელი თუ მოუხვდება მოხუცის, გაურკვეველი ეროვნების ქალის სხეულზე, ის ისეთ სიტყვებს მოისმენს, ცხოვრებაში რომ არ გაუგია! იმ საშინელ შემთხვევას ის კარგად დაიმახსოვრებს და როდესაც გაიზრდება, თავის შვილებს შეაშინებს ხოლმე:

– დაიბინეთ, თორემ ბოროტი დედაბერი მოვა და წაგიყვანთ!

მეც „მარშრუტის“ „ბანაკამოვილი“ ვარ და ამან ბევრი რამ მომცა... მაგალითად, ახლა ვიცი, ვის უღალატა ალიკამ, ან რატომ აიღო კრედიტი ანჟელამ...

თქვენ თუ გინახავთ უნომრო „მარშრუტები“? ადრე მეგონა, რომ ისინი მთვარეზე მიდიოდნენ. ახლა კი ვიცი, რომ მთვარეზე 170-ე ნომერი მიდის!

ერთი შემთხვევა მახსენდება. „მარშრუტაში“ ვიჯექი და ჩასასვლელად ვემზადებოდი. პატარა ვიყავი და მორიდებული, მრცხვენოდა, მძღოლისთვის რიხიანად შემეძახა:

– გააჩერე, ბიძაჩემო!

ამიტომ მორიდებულად მივმართე:

– აქ ხომ ვერ გამიჩერებთ?

სამწუხაროდ, ეს არც მძღოლს გაუგია და არც მგზავრებს. გავცდით ჩემს გაჩერებას...

„მარშრუტა“ კი მიდის... ვიფიქრე, მძღოლი ნელა ამუხრუჭებს-მეთქი, მაგრამ არა! ხოშიანად

„დაგაზა“. დავიბენი და მძღოლს მივუახლოვდი:

– გამიჩერე, ბიძია!



მძღოლმა თვალები მოჭუტა და ოქროს კბილები გამოაჩინა. მე შეშინებულმა გავიხედე მგზავრებისაკენ და ცრემლმორეულმა ამოვიღულულდე:

– არ მიჩერებს!

ამას მოჰყვა სიცილ-ხარხარი.

– რა გაცინებთ! – გავცეცხლდი მე.

მძღოლმა უცბად დაამუხრუჭა და მომიბრუნდა.

– ჩადი, კაცური-კაცი, და კითხვაც ისწავლე!

თან წარწერისაკენ მიმითითა. იქ კი გარკვევით ეწერა: „რუსთაველზე“ და „ჭავჭავაძეზე“ მიკროავტობუსები მხოლოდ გაჩერებებზე ჩერდება“.



ანა კალანდაძე*

(1924 – 2008)

მოამზადა ლალი მიქაძემ



XX საუკუნის უმძიმეს დროს დვთაებრივი ჩურჩულით მოვევლინა ანა კალანდაძის პოეზია და თან ერის უნატიფესი ფიქრები და განცდები მოიტანა. იგი იმთავითვე აღიარეს, იმთავითვე შეიყვარეს, მაგრამ მანამდეც და მეტრეც არ ყოფილა მისი გზა ადვილი (ან კი, როდის ყოფილა ჭეშმარიტი პოეტის გზა იოლი?).

მშობლები

„დედას, მარიამ სულავას ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის დამთავრებისთანავე სრულიად ახალგაზრდას დაუწვია მასწავლებლობა ხიდისთავში, სადაც შეხვედრია კიდევ თავის მომავალ მეუღლეს. მამა (პავლე კალანდაძე; ლ.მ.) პროფესიით პროვიზორი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს აფთიაქის თანაშემწის წოდება მიანიჭეს და გარდაცვალებამდე მუშაობდა ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს რწმუნებულის თანამდებობაზე. ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა; იქ მივიღე პირველდაწყებითი განათლება და საშუალო სასწავლებელიც იქვე დავამთავრე.“

მამა გარდაიცვალა ქუთაისში, 1931 წელს. დასაფლავებულია იქვე. იმ დროს პირველ კლასში ვიყავი. დედა – მარიამ სულავა ხიდისთავის გარდა ასწავლიდა ოზურგეთის მაზრის სკოლებში, თბილისის მე-11 საშუალო სკოლაში, იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. გარდაიცვალა 1965 წელს.“

ვისი სახელი ჰქვია?

„ბებია, ანა დავითის ასული შარაშიძე (მისი სახელი მქვია. იგი ჩემს გაჩენამდე რამდენიმე თვის გარდაცვლილი ყოფილა) გურიაში იმ დროს ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, გიგი შარაშიძის დეიდა და იყო.“

ასე რომ, სახელს ბებიას უნდა ვუმადლოდე.

რას ვარ გადარჩენილი! გურულების ამბავი რომ ვიცი, ხომ შეიძლება, ფლორენცია დაერქმიათ?!”

"ჯაი-მიდამო ჩემი დამიოცეთ, ძებო!"

„ჩემი პირველი პოეტური შთაგონება, ჩემი პირველი პოეტური სიტყვა ჩემს მშობლიურ სოფელს – ხიდისთავს უკავშირდება. იგი გურიაშია, ჩოხატაურის რაიონში. ამ სოფელში ვარ დაბადებული.“

ზაფხულის არდადეგებს ბავშვები თითქმის ყოველთვის ვატარებდით ხიდისთავში, სადაც ცხოვრობდა ჩვენი უფროსი მამიდა – ნარო. იგი სიკვდილამდე არ მოშორებია მამაპაპეულ კერას და ბოლომდე, შეძლებისდაგვარად, უძღვებოდა საკმაოდ დიდ ოჯახს. ყოველ ზაფხულს მოუთმენლად მოგველოდა; სოფლად გამგზავრება ჩვენთვის დღესასწაული იყო. ჩემი ბავშვობა ძალზე უფერული იქნებოდა, ხიდისთავში გატარებული უბედნიერესი დღეები რომ არა!

აი, ლექსი, ნარო მამიდას ხსოვნისადმი მიძღვნილი:

შენ ღმრთის მოშიში არ ხარ,
ხალხის ნათქვამს კი იცავ...
სკვინჩა რაღაცას ამბობს...
– კაი ამბავი, სკვინჩავ! –
გაგლეგეს და-ძმათა დარდი,
ბიჭი სადაა, ციცა...
სკვინჩა... არ ტოვებს ეზოს...
– ოქროს ნისკარტი, სკვინჩავ!

წაბლის ხის ერთსართულიანი, საკმაოდ დიდი ოდა გაშლილ, მწვანედ მოხასხასე მინდორში იდგა (ასეთი დიდი ოდა მაშინ ხიდისთავში მხოლოდ ხუთ მოსახლეს თუ ჰქონდა, გამიგია პროფესორ იოსებ მეგრელიძისგან).



გურია. სოფელი ხიდისთავი. სახლი, სადაც დაიბადა ანა კალანდაძე

* – გამოყენებულია ორტომეული „ანა კალანდაძე“. ტ. II. 1996წ.



დედა – მარიამ სულავა

ოდის უკან იყო რცხილის უზარმაზარი ხეებით დაბურული მარანი. ბავშვებს ძალიან გვიყვარდა იმ გოლიათური ხეების მიწიდან ამოჩრილ, ერთმანეთში ჩაქსოვილ ფესვებში ფუსფუსი და თამაში. იმ რცხილების გუგუნი ახლაც ხშირად ჩამესმის ხოლმე.

მეორე ასეთივე დიდი მარანი ეზოს გადაღმა გვქონდა, ყანაში. ჩემს ბავშვობაში იგი უფრო მიტოვებული და მივიწყებული იყო თავისი „ცარიელ ქვევრებში დამწყვდეული ჭინკებით“ (ეს მარანი მქონდა მხედველობაში ლექსის, „დამილოცეთ, ძმებო“, წერისას):

აკაციის ტვერი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე*...
აქ – მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა...
იქ – ცარიელ ქვევრში
დამწყვდეული ჭინკა...
პაპის მონაცემი,
მარად საოცნებო,
კარ-მიდამო ჩემი
დამილოცეთ, ძმებო!
აკაციის ტვერი...
წნელის სუსტი ღობე...
ღვინიანი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...“

"ბახი მთაჲ" - ჰიხელი ლექსი

„სულ უმნიშვნელო ბიძგმა, სულ უბრალო შემთხვევამ, შეიძლება, შეარხიოს ჩვენში ის პოეტური სიმი, რომელიც თითქოს ამ გარეგან ფაქტორს ელოდაო. გავისხენებ ჩემი ბავშვობიდან იმ ერთ შემთხვევას, რომელმაც სწორედ ეს სიმი შეარხია და თითქმის იმთავითვე განსაზღვრა ჩემი მომავალი. ეს შემთხვევა რომ არა, შეიძლება, პოეზიას არც დაგვაგშირებოდა.

მასხოვს, ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვები ჩვენი ძველებური, ფართოაინიანი ოდის წინ, ეზოში, ვისხედით (სოფელ ხიდისთავში; ლ.მ.) და დიდი გულისყურით ვუსმენდით ფოცია მამიდას, რომელიც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. იმ ზაფხულს ისიც ჩვენთან ერთად ისვენებდა.

მოულოდნელად ჩვენი ყურადღება მიიპყრო საოცარმა ნათელმა, მათაა წვერებს რომ ეფინებოდა. მთვარე ამოდიოდა, სავსე, ბადრი მთვარე!

ბავშვები მოჯადოებულებივით შევსცქეროდით ამ დიდებულ სურათს, ყურადღება გაგვეფანტა; მამიდამ იგრძნო:

– მშვენიერია, არა? – გვკითხა და მეორე დღისთვის ყოველივე ამის აღწერა გვთხოვა.



მამა – პავლე კალანდაძე

დილისთვის ორსტროფიანი ლექსი მზად მქონდა. ლექსს, რა თქმა უნდა, „ბადრი მთვარე“ დავარქვი. მამიდამ გაიხარა, ლექსი მომიწონა და შინაურებსაც წაუკითხა. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი მხოლოდ იმიტომ, რომ დავალების შესრულება შეეძელი და მამიდას ვასიამოვნე.

ლექსი ჩვენი სკოლის კედლის გაზეთშიც მოხვდა (დედამ „გამცა“!). ეს იყო ჩემი პირველი ლექსის პირველი „პუბლიკაცია“. მას შემდეგ არსად არაფერი გამომიქვეყნებია 1946 წლამდე.“

ქუთაისში, მესამე ინტერნაციონალზე

„ბაბუას ქუთაისში საკუთარი სახლი არასოდეს ჰქონია, ოჯახი ქირით მდგარა სხვადასხვა ადგილას. ბოლო დროს იურისტ დიმიტრი დგებუაძის სახლში უქირავებია ორი საკმაოდ დიდი ოთახი თავისი შუშაბანდით. ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა ამ სახლთან იყო დაკავშირებული, საბავშვო ბაღის ასაკიდან საშუალო სკოლის დამთავრებამდე.

ჩვენი ქუჩა ჯერ მესამე ინტერნაციონალის იყო, მერე – კიროვისა; ამჟამად დიდი თამარის სახელი მიანიჭეს.“



"ბუნების კახი"

„დიდი ბიბლიოთეკა არ გეკონია, მაგრამ იქ ბევრი ძვირფასი გამოცემა ინახებოდა. წიგნებში სშირად „ვიკიქებოდი“.

ბავშვებისათვის იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარზე“ უკეთესი საკითხავი წიგნი, ვფიქრობ, დღესაც არ არსებობს. ის ნამდვილი საბავშვო ენციკლოპედიაა. ეს წიგნი ბავშვს არა მარტო ბუნებას, არამედ ჩვენი სახელოვანი წარსულის კარსაც უღებს და აცნობს ჩვენი დიდი წინაპრების დიდებულ საქმეებს. ჯერ კიდევ შეუცნობლის ბურუსში გახვეულ ყმაწვილს ეს წიგნი გულში უამრავ კითხვას აღუძრავს.“

ჩემი ახა ფოცია მამიდა

ანას პირველი ლექსი რომ ფოცია მამიდას წყალობით დაიწერა, ეს უკვე ითქვა. საბედნიეროდ, მომავალი პოეტი მამიდას უფრო მეტად დაუახლოვდა მაშინ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

„სტუდენტობის წლებში თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. ბინად ფოცია მამიდასთან ვიყავი. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იგი სისტემატურად ადევნებდა თვალს ჩემს შემოქმედებით მუშაობას. მის მიერ რაიმეს ხელაღებით დაწუნება არ მახსოვს; იმიტომ კი არა, რომ ყველაფრით, რასაც ვწერდი, კმაყოფილი და აღტაცებული იყო! ნაკლზე ძალიან ფრთხილად მიმითითებდა („იქნებ, ასე ჯობდეს?“ „იქნებ, სხვაგვარად გეთქვა, სხვა სიტყვა შეგერჩია“... და ა.შ.) ცდილობდა, ჩემი ბავშვური თავმოყვარეობა არ შელახულიყო და სამუდამოდ არ ჩაეჭუმებულიყო. მას პედაგოგის ადლო კარნახობდა ამას და არც შემცდარა: მე გამიჩნდა წერის სურვილი! დიახ, მან კარგად იცოდა დამწეებისათვის შექებისა და წახალისების ფასი!

ეს ყველაფერი, როგორც მოგახსენეთ, ჩემი მოწაფეობის დროს ხდებოდა. სტუდენტობის წლებში კი საოცრად ჩავიკეტე და არავითარი სურვილი არ მქონია, ვინმესთვის გამენდო ჩემი ნაწერები. მათ აღარც მამიდას ვაკითხებდი. როგორც ახლა ვფიქრობ, ეს უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ჩემი ლექსები ჩემთვის უკვე დღიურების მოვალეობას ასრულებდნენ და ჩემი გრძნობების საქვეყნოდ გამომქლავნებას კი ვერიდებოდი!

მამიდა ძალას არ მატანდა (მისგან ეს წარმოუდგენელიც იყო!). საერთოდ, ძალიან ფაქიზი სულის ადამიანი იყო, უაღრესად მორიდებული. ხომ მუშაობო, მხოლოდ ამას თუ მკითხავდა.“

შვიდი წლის დაკვიანებით

„მაგრამ, აი, მიიწერა სტუდენტობის ბოლო წელიც. ახლა კი დავთანხმდი თხოვნას და ლექსები დიმიტრი ბენაშვილს გაუგზავნეს ჩვენი ნათესავის ხელით.

ბატონი დიმიტრი მაშინ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სარეპერტუარო კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

ბატონმა დიმიტრმა თბილად მიმიღო. დიდხანს მესაუბრა და სულ ახალი, ბოლო დღეებში დაწერილი ლექსების მიტანა მთხოვა. ადრე მიტანილები უკვე მანქანაზე გადაებეჭდა. რამდენიმეს ფანქრით ისეთი მინაწერიც ჰქონდა, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა!

ჩემი რვეული მერე გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ (ასე ერქვა „ლიტერატურულ საქართველოს“) რედაქტორთან, გიორგი ნატროშვილთან აღმოჩნდა დიმიტრი ბენაშვილის ბარათთან ერთად.

1946 წლის 24 მაისს მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი წერილობით მატყობინებდა, გთხოვთ, მობრძანდეთ, 25 მაისს დღის პირველ საათზე მწერალთა კავშირში, თქვენი ლექსების კითხვა ეწყობაო. მოულოდნელი რამ იყო. მაშინ არაფერი მითქვამს, არც უნივერსიტეტში იცოდნენ არაფერი.

კითხვა პოეზიის სექციამ მოაწყო. სექციის ხელმძღვანელი, ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, რუსთველოლოგი – კონსტანტინე ჭიჭინაძე იყო.

კითხვის დამთავრებისთანავე ჩემთან პირველი მოვიდა შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე – ალექსანდრე აბაშელი და ხელზე მემთხვია. იმ დღეს საუბარი უმთავრესად ჩემი მომავალი წიგნის გარშემო იყო, თუ



ანა კალანდაძე ბავშვობაში



ანა კალანდაძე (შუაში) ოჯახის წევრებთან ერთად



ანა კალანდაძე

როდის და როგორ უნდა გამოსულიყო პირველი კრებული და, რაც შეიძლება, მალე.

ერთხმად მიმიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად; 22 წლის ვიყავი.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა იუწყებოდა:

„კითხვა, როგორც წესი, პოეტების ვიწრო წრეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მოულოდნელად ახალგაზრდა პოეტს ფართო საზოგადოების წინაშე მოუხდა გამოსვლა („ლიტერატურა და ხელოვნება“. 1946წ. I-VII).

მკითხველის მიერ ჩემი პოეზიის აღიარებას ჩვეულებრივად შევხვდით, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი.

უკიდევანო სისარული ქარიშხალივით აწყდებოდა გულს და დამშვიდების საშუალებას არ მაძლევდა. საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა ასე. გარეგნულად კი არაფერში არ ვლინდებოდა ეს შინაგანი აფორიაქება; ისიც კი უკვირდათ, სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადებას „რა გულით“ ჩაუუჯექი?! დიას, ჩემს თავს რაღაც უჩვეულო ხდებოდა და ამ „რაღაცამ“ მაინც საკმაოდ დიდი ხნით ამომავლო მშვიდი შემოქმედებითი ცხოვრების კალაპოტიდან.

და ყოველივე ამის შემდეგ დატრიალებული ამბები, მართლაც რომ, მოწმენდილ ცაზე მეხის გაგარდნას ჰგავდა. ლექსების გამოქვეყნების, სულ რაღაც, ორი თვის თავზე, კრიტიკის საშინელ გრივალში მოვხვდი.

ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალების იდეოლოგიურად დამუშავებას ჩვენთანაც გამოეხმაურნენ, „უიდეო და აპოლიტიკური ნაწარმოებებისათვის“ მეც გამაკრიტიკეს უფროსი თაობის მწერლებთან ერთად.

ამის გამო ჩემი პირველი წიგნი მხოლოდ 1953 წელს გამოვიდა, 7 წლის დაგვიანებით. წიგნში ბევრი ლექსი არ შესულა და, რაც გამოქვეყნდა, იმათაც დიდი ცვლილებები განიცადეს.“

"ხოცა ცოცხალ უკვდავს ვხედავ"

„ღვთის წყალობით, ფოცია მაშიდა ნამდვილი პედაგოგი იყო. მაგრამ ფოცია მაშიდას გარდა მის გვერდით არაჩვეულებრივი ადამიანები იდგნენ: ნინო და ქრისტინე შარაშიძეები.“

ეს ქალბატონები და ანას მამა ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. აი, როგორი გვერდში დგომა იცოდნენ მათ. ამონარიდი ნინო შარაშიძის წერილიდან:

„მე თქვენი ოჯახი მიმანია ბედნიერ ოჯახად, რადგან ვერც ერთ მაგ ოჯახის მიცვალებულზე კარგის მეტს ვერავინ ვერაფერს იტყვის. სწორედ ბედნიერია თქვენი ოჯახი, რომ იგი ბუდეა პატიოსანი და უმწიკველო ადამიანების, რომ დღესაც ამ ოჯახზე ვერავინ ცუდს ვერ იტყვის.“

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე ცნობილი მეცნიერი იყო. როდესაც 22 წლის უცნობი ანა კალანდაძე მოულოდნელად ყველასათვის საჩინო პოეტი გახდა, მან ასეთი წერილი მისწერა:

„შენ არ დაგათრო, არ გაგაბრუა ამ, შენთვისაც კი, მოულოდნელმა წარმატებამ და თუ შენ თვითონ არ ხარ ამაყი „დიდების მწვერვალზე“, შენი მახლობლების გული სიამაყით უნდა იყოს სავსე, რომ ამდენად ღირსეულად გადაიტანე დიდების გრივალი, მოულოდნელად რომ დაგატყდა თავს. მეც ვამაყობ – იმდენად შენი ნიჭის ბრწყინვალეობით არა, რამდენადაც იმ ღირსეული თავდაჭერილობით, რომელიც შენ გამოიჩინე. ჰქმენ ისე, რომ ბოლომდის ვიამაყოთ შენი ჭკუითა და სიღინჯით.“



(მარცხნიდან): მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, თამაზ ჭილაძე

P.S. ანა კალანდაძის 80 წლის იუბილეზე, ხომელიც გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ჯუმბუჯ ქუმბუჯიძემ აღნიშნა:

„მე, ცხადია, ახ შეიძლება, ვიცოდე, ხას განიცდის ჰოჯი, ხომელიც საკუთარ უკვდავებს შეუსწო, ის აი ვიცო, ხას განვიციდი თვითონ, ხოცა ცოცხალ უკვდავს ვხედავ.“

ანა კალანდაძე გახდა 2008 წლის გაზაფხულზე. დაქვდალენია მთანმინდის მნეხადთა და საზოგადო მოღვაწეთა ჰანთოონში.

საკიბელი

ფოტოაქივი		ქვით ნაბები მახინა	
ბარათები წარსულიდან	3	მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე იშბილარია	28
პიონა		პიონა	
გუგული ტობონიკე -		ნუნუ ჯანელიკე -	
პარდისფერი ჭინკა	4	ქირაფი და სტალინის ბალი	32
ნოჩის სუბიხი		ღაბაბაი სანაბიხა	35
ნანა ჭანტურია -		მითი და სინაძეძი	
აფხაზი ნიკა ბაკალა - ქართულ-აფხაზური		ცოლქმრული თავგანწირვით	36
შერიბების ტროპარი აფხაზურად	8	ფაბიანის მომავალი ნიბინა	
ქათა ლაღი		ნიკოლაი კონსტანტინიძე -	
ბიორბი კობახიკე -		ზურაბ სოტკილავა - 80	38
სოხუმის საკათედრო ტაძარი	11	პიონა	
პანი ნათელი		ნიკო ქუთათელიკე	42
ბენო კალანდია	12	ქიხი	43
ო, ენა ჩემო		ქიხი	
სულხან-საბა ორბელიანი -		ქეთევან ბაიაშვილი -	
ორი მოლა	14	ქართული ხალხური სიმღერის	
ბუნის თვალბით		მუზეუმი თბილისში	44
თამარ ბაბროშვილი -		თხიბანი	
მინიატურები	16	სკანდინავიური საბა	48
ბახთაბი მანთის		ღაბაბაბა სანაბი	
ლუღვიზ ვან ბეთკოვენი	20	კონსტანტინე რიგვავა -	
ზღვისპირა იანაიანი	22	თავისუფლების საკანი	50
პიონის ქიტი ღაბი		ღაბი	
ალექსანდრე ჭავჭავაძე	23	თაკო სულაბერიკე -	
ქიხი ქაღისი		მიწის სურნელი	53
მამა ბიორბი (შენგელაია) -		ნიკა ბაბუნია -	
წმინდა მოწამე ვანილინკო კომანელი	24	„მარშრუტა“	54
ნიხის ნახშირი	27	ბანიონი ბაშკოვაში	
		მოამზადა ლალი მიქაქიშვილი -	
		ანა კალანდია	55


ჩვენი მისამართი:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
 ტელ.: (+995) 598 93 92 84;
 (+995) 599 12 66 80;
 ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 1 (36), 2017 წ.,
 აფქიო № 1 (9), 2017 წ.

ტირაჟი: 500 ც.
 ფასი სახელმწიფოებო.





„დიდვალება“. ნინო მჭედლიშვილი. 12 წლის. მარტყოფი.